# ისრაელთან მატჩის წინ: რატომ მივდივართ გოგუას გარეშე?
გვ.12

ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“ + „განდი“
8 ლარი -
21 მარტიდან 4 აპრილამდე
4 აპრილის შემდეგ „განდის“ ფასი 12 ლარი გახდება




სამშაბათი, 29 მარტი, 2011 | №74 (5455) | ფასი: 30 თეთრი

# გაჩეჩილაძეს ჩემთვის პროვოკაციის მოწყობა დაავალეს

რა მოხდა მიუნხენის აეროპორტში
ლევან გაჩეჩილა ის
და ბადრი ბიწა ის შორის





გვ.3



## ხელისუფლებამ გაჭედა

ნაციონალებს მაინც დავამარცხებთ



გვ.5

## არჩევნები ბარკოდებით უნდა ჩატარდეს



გვ.2

## ოპოზიცია სუბელიანზე შეტევისთვის ემზადება

გილაური პარლამენტში ერთი დღის დაგვიანებით მივა

## ბალაფში გადადგომას აპირებს?

გვ.3



## ნატო საქართველოში პოლიტიკურ რეფორმებს მოითხოვს

გვ.7



გვ.2

## ირაკლი ბათიაშვილი ქვეყანაში რადიკალურ ცვლილებებს გარდაუვლად მიიჩნევს

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

**2** საერთაშორისო სამართლებრივი კონფერენცია თბილისში

**3** სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა

**2** შემოსავლების სამსახურის საჩივარი არ დაკმაყოფილდა

**4** ზოგიერთ სამარშრუტო ხაზზე მგზავრობა აპრილიდან გაძვირდება

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ოპოზიცია სუბელიანზე შეტევისთვის ემზადება

## გილაური პარლამენტში ერთი დღის დაგვიანებით მივა

**პრემიერი ნიკა გილაური პარლამენტში ოთხშაბათს მივა. არადა, წინასწარ ცნობილი იყო, რომ გილაური დეპუტატების წინაშე სამშაბათს უნდა წარმდგარიყო შემაჯამებელი მოხსენებით.**



ნანა მიშელაშვილი

თავდაპირველი გრაფიკის მიხედვით, „სამთავრობო კვირეულის" ფარგლებში, პრემიერ-მინისტრის შემაჯამებელი სიტყვით გამოსვლა გასული კვირის პარასკევს იგეგმებოდა, თუმცა, შუა კვირაში გადაწყდა, რომ გილაური პარლამენტში მიმდინარე კვირის სამშაბათს მივიდოდა. ამ გრაფიკში კიდევ ერთი ცვლილება გუშინ მოხდა.

ბიუროს სხდომაზე, პრემიერის და მინისტრთა კაბინეტის მისვლის გრაფიკის შეცვლა „ქრისტიან-დემოკრატმა" ვიცე-სპიკერმა ლევან ვეფხვაძემ მოითხოვა.

ვეფხვაძის თქმით, განსახლების მინისტრის, კობა სუბელიანის მიერ დებატებისას რამდენიმე არასწორი ინფორმაცია ითქვა. ამ ინფორმაციების სისწორეს ახლა „ქრისტიან-დემოკრატები" კონკრეტულ ოჯახებთან შეხვედრებით ამოწმებენ. შესაბამისად, „ქრისტიან-დემოკრატებმა" გადამოწმებისთვის საჭირო დროის მიზნით, პრემიერ-მინისტრთა დებატების გადადება 1 ან 2 დღით მოითხოვეს.

მას შემდეგ, რაც ოპოზიციის ნაწილის, კერძოდ, ქრისტიან-დემოკრატების მოთხოვნა მოისმინა, დავით ბაქრაძემ პრემიერ-მინისტრთან სატელეფონო კონსულტაციების მიზნით ბიუროს ოთახი დატოვა. რამდენიმე წუთის შემდეგ ბაქრაძე დაბრუნდა და განაცხადა, რომ პრემიერი თანახმაა, პარლამენტში ოთხშაბათს მივიდეს.

დავით ბაქრაძემ იმედი გამოთქვა, რომ მინისტრებიც შეძლებენ უკვე შეთანხმებული გრაფიკის გადაწყობას და პარლამენტში ოთხშაბათს მინისტრთა სრული კაბინეტი მივა.

პარლამენტის თავმჯდომარემ ვეფხვაძის მისამართით იხუმრა: ხომ ხედავთ, ოპოზიციის თხოვნას ვითვალისწინებთ.

— კარგია, რომ ითვალისწინებთ, — ხუმრობას ხუმრობით უპასუხა ვეფხვაძემ.

პირველმა ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა ოპოზიციის მიმართ გამოჩენილი ეს დათმობა შვეიცარიის ბანკში არსებულ აქტივებს შეადარა.

— ეგ შვეიცარის ბანკივით არის, ვერ მივიღებთ, მაგრამ არც დაგვეკარგება, — განაცხადა მაჭავარიანმა.

პარტია „თავისუფალი დემოკრატების" წევრმა, დეპუტატმა გიორგი ცაგარეიშვილმა დებატების გადადების შესახებ ინფორმაცია ჟურნალისტებისგან შეიტყო. ცაგარეიშვილი ბიუროს წევრი არ არის, ამდენად, მან დებატების გადადების შესახებ მედიისგან შეიტყო.

ჟურნალისტებთან საუბარში გიორგი ცაგარეიშვილმა აღნიშნა, რომ დეპუტატი სულ მცირე, ამ ახალ ამბავს მედიის საშუალებით არ უნდა იგებდეს.□ — მე მგონი, არავითარი ჩხირკედელაობა და მისნობა არ არის საჭირო, რათა ერთხელ და სამუდამოდ გავიგოთ, რომ დღეს საქართველოს უპასუხისმგებლო, უმეტესწილად დამნაშავე ადამიანთა კრებული მართავს, რომელსაც ვიღაცამ ერთ დროს მთავრობა უწოდა. ეს რომ ასე იყო, ჩემთვის ამ დებატების დაწყების წინაც კარგად იყო ცნობილი, — აღნიშნა გიორგი ცაგარეიშვილმა.

ოპოზიციონერი ცაგარეიშვილი ვარაუდობს, რომ ვითომდა მოუცლელობის მიზეზით, შესაძლოა ოთხშაბათს ზოგიერთი მინისტრი, კერძოდ, ვანო მერაბიშვილი და ზურაბ ადეიშვილი პარლამენტში აღარ გამოცხადდნენ.

უმრავლესობის წევრები და მთავრობის საპარლამენტო მდივანი კი ამბობს, რომ ოთხშაბათს მთავრობა მთელი შემადგენლობით მივა პარლამენტში.

პრემიერ-მინისტრის შემაჯამებელი სიტყვით გამოსვლისას ასევე დაგეგმილია ოპოზიციასა და უმრავლესობას შორის პოლიტიკური დებატები.

ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი პაატა დავითაია აპირებს, რომ დევნილთა მდგომარეობის შესახებ პრემიერს შეკითხვებით მიმართოს. იმ დროს, როდესაც პარლამენტი კობა სუბელიანს უსმენდა, დავითაია საქართველოში არ იმყოფებოდა. ის პარიზში, ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტის სხდომას ესწრებოდა. დავითაია აცხადებს, რომ მზადდება რეზოლუცია, რომელსაც აპრილში საპარლამენტო ასამბლეა მიიღებს. დავითაია კომიტეტის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა და დევნილთა მიმართ განხორციელებულ ქმედებებზე ისაუბრა.

— სავარაუდოდ, ევროსაბჭოს რეზოლუციაში საქართველოს ხელისუფლების მიმართ კრიტიკა იქნება გამოთქმული, — აღნიშნა პაატა დავითაიამ.

ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი აღნიშნავს, რომ ის, რაც დევნილებთან დაკავშირებით ხდება, არასწორია, დევნილების განსახლების დროს დაშვებულია შეცდომები და მთავრობის სტრატეგია არ მუშაობს.

ამდენად, სამთავრობო მოსმენების ბოლოს, ოპოზიციონერი დეპუტატები მინისტრ კობა სუბელიანის მიმართ კვლავ მწვავე განცხადებების გაკეთებას გეგმავენ. ოპოზიციის მცდელობა კობა სუბელიანის პასუხისმგებლობის დაყენებასთან დაკავშირებით წინა კვირას უშედეგოდ დასრულდა. უმრავლესობამ ლტოლვილთა მინისტრი გადაარჩინა.

სუბელიანის გარდა ქრისტიან-დემოკრატებმა ბაკურ კვეზერელის პასუხისმგებლობის საკითხიც დასვეს, თუმცა, ეს საკითხიც ვერ გაიტანეს. სოფლის მეურნეობის მინისტრი მმართველმა ფრაქციამ იხსნა.

სოფლის მეურნეობის მინისტრის და ლტოლვილთა მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხის დასმა ოპოზიციას მომდევნო სამი თვის განმავლობაში აღარ შეუძლია. ამდენად, სულ მცირე, სამი თვის მანძილზე ეს ორი მინისტრი თანამდებობაზე დარჩება.

## ნუკრი ქანთარია: „რვიანმა" მომდევნო ნაბიჯები უნდა დაგეგმოს

„ქართული აკადემია" ოპოზიციური ,,რვიანის" მოთხოვნას თავისუფალი არჩევნების შესახებ ლეგიტიმურად მიიჩნევს.

როგორც გუშინ „ქართული აკადემიის" წარმომადგენელმა ნუკრი ქანთარიამ ოპოზიციურ „რვიანთან" შეხვედრისას განაცხადა, საზოგადოებამ უნდა იცოდეს, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების პროცესის ჩაშლის შემთხვევაში კონკრეტულად რა იქნება "რვიანის" შემდგომი ნაბიჯი.



როგორც ნუკრი ქანთარია აცხადებს, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით მიმდინარე პროცესი სწორი იყო. "რვიანმა" თავისი პრინციპულობა დაამტკიცა და ამ ეტაპზე მოლაპარაკებების შეწყვეტა სწორი ნაბიჯი არ იქნება.

— მოლაპარაკებების შეწყვეტა ვერაფერი შედეგი იქნება. სწორედ შედეგის უპერსპექტივობა ბადებს საზოგადოებაში ნიჰილიზმს. მაშინ, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლები საკუთარი ინიციატივებით კლოუნადაში გადავიდნენ, "რვიანმა" უფრო მკაფიოდ უნდა დაასახელოს ის 4-5 პუნქტი, რომლის გადაწყვეტის გარეშეც მოლაპარაკებები არ გაგრძელდება, — განცხადა ქანთარიამ და აღნიშნა, რომ საარჩევნო გარემოს შეცვლის გარეშე „რვიანის" არჩევნებზე წასვლა საზოგადოებისთვის მიუღებელი იქნება.

— საჭიროა, დავიწყოთ კამპანია სახელწოდებით „მოგვეცი არჩევნები" და არა ზოგადი რევოლუციური გამოსვლები. თუმცა თუ ხელისუფლება ამაზე არ წამოვა, მომდევნო ნაბიჯი მოფიქრებული უნდა გვქონდეს, — დაამატა ქანთარიამ.

მედიანიუსი

## ირაკლი ბათიაშვილი ქვეყანაში რადიკალურ ცვლილებებს გარდაუვლად მიიჩნევს

სახალხო კრების ერთ-ერთი ლიდერის ირაკლი ბათიაშვილის განცხადებით, გია ბურჯანაძე, სააკაშვილის პოლიციამ ტელეფონით მიღებული სპეციალური განკარგულებების საფუძველზე, სრულიად უკანონოდ იმიტომ დააკავა, რომ იგი სახალხო კრების ერთ-ერთი ლიდერი და შეფიცულთა ხელმძღვანელია.



როგორც გუშინ სახალხო კრების ოფისში ბათიაშვილმა განაცხადა, , 25 მარტს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს წინ სრულიად კანონიერი, მშვიდობიანი აქციის დარბევისა და აქციის მონაწილეების დაკავების ფაქტმა, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ხელისუფლებას ხალხის პროტესტის პანიკურად ეშინია. გია ბურჯანაძის სამართლო პროცესის მსვლელობის დროს უამრავი ადამიანი შეიკრიბა და განაჩენს შუაღამემდე ფეხმოუცვლელად ელოდა.

— პროცესზე მოსამართლე ნანა დარასელია იძულებული გახდა, გია ბურჯანაძე სასამართლო დარბაზიდან გაეთავისუფლებინა და მისთვის ადმინისტრაციული სასჯელის სახით, მხოლოდ ჯარიმა დაეკისრებინა. 25 მარტს ნათელი გახდა, რომ სახალხო კრებას აქვს ის ძალა და რესურსი, რასაც სიმართლისა და ხალხის ძალა ჰქვია და რომ ეს ხალხი მზად არის მასშტაბური წინააღმდეგობა გაუწიოს უკანონობას. უახლოეს პერიოდში ქვეყანაში რადიკალური ცვლილებები გარდაუვალია, — განაცხადა ბათიაშვილმა და დასძინა, რომ პატიმრობაში დარჩენილ შეფიცულებს და მათ ოჯახებს ფიზიკურ და მორალურ მხარდაჭერას უცხადებენ.

მედიანიუსი

## საერთაშორისო სამართლებრივი კონფერენცია თბილისში



2011 წლის 28 მარტს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში გაიხსნა" კონფერენცია თემაზე „მართლმსაჯულების ხარისხი და მისი თანამედროვე გამოწვევები"

კონფერენცია ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის რეფორმის პროექტის ფარგლებში იმართება.

მასში მონაწილეობას იღებენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, აღსრულების ეროვნული ბიუროს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცის, სახალხო დამცველის ოფისის, ასევე მართლმსაჯულების სფეროში მოღვაწე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

კონფერენციის მიზანია საქართველოში მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესება და ამ სფეროში ევროპული გამოცდილების გაზიარება. კონფერენციის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მოხსენებებს გააკეთებენ უცხოელი და ქართველი ექსპერტები.

კონფერენცია ორ დღეს გაგრძელდება.

## შემოსავლების სამსახურის საჩივარი არ დაკმაყოფილდა

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინსტრაციულ საქმეთა პალატამ შემოსავლების სამსახურის პოზიცია არ გაიზიარა და დავა მეწარმის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო „შესწორებული საგადასახადო მოთხოვნა", რომლითაც შ.პ.ს. „მშენებელი 2"-ს საშემოსავლო გადასახადის სახით 66122.25 ლარი დაერიცხა, გამოცემული იყო საშემოსავლო გადასახადისა და სანქციის დარიცხვის კანონიერების საკითხის შესწავლისა და გამოკვლევის გარეშე.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა რაიონული სასამართლოს არგუმენტები, ბათილად ცნო ახალციხის რეგიონული ცენტრის „შესწორებული საგადასახადო მოთხოვნა" და საგადასახადო ორგანოს დაავალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
**ტელეფონი/ფაქსი** 95-25-89
**ვებ-გვერდი** www. atb.ge **E-mail:** axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

## კონფლიქტის ზონის ქართულ სოფლებში ვაშლის ხეების აჩეხვა დაიწყეს

„ეროვნული ფორუმის“ გორის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე სოსო ვახტანგიშვილის მტკიცებით, კონფლიქტის ზონის ქართულ სოფლებში მცხოვრებმა მოსახლეობამ ხეხილის, კერძოდ კი ვაშლის და ატმის ხეების აჩეხვა დაიწყეს.

როგორც ვახტანგიშვილმა გუშინ პარტიის ცენტრალურ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის გარემოება გახდა, რომ სოფლებში სარწყავი წყალი არ არის.

— როგორც ცნობილია, საქართველოს ხელისუფლებამ ახალგორის რაიონს ბუნებრივი გაზით მომარაგება შეუწყვიტა, საპასუხოდ, ცხინვალის რეჟიმმა ადმინისტრაციული საზღვრისპირა ქართულ სოფლების წყლით მომარაგება შეაჩერა. მოსახლეობა მოსავლის მორწყვას ვერ ახერხებს. კონფლიქტის ზონის სოფლებში მცხოვრები მოსახლეობა იმდენად გაუსაძლის პირობებში იმყოფება, რომ გლეხებმა ხეხილის ბაღების აჩეხვა დაიწყეს. ამ ქვეყანაში ეს უკიდურესი გაჭირვების პირველი და ერთადერთი მაგალითი არ არის და ხელისუფლებას უნდა ახსოვდეს, როგორ დაიწყეს კახელმა გლეხებმა რამდენიმე წლის წინ ვაზის აჩეხვა, — განაცხადა ვახტანგიშვილმა და დასძინა, რომ დღეს კახელებს ქართლელებიც დაემატნენ.

მედიანიუსი

## შაშკინი სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსახლეობას შეხვდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორთან ზაზა გო-



როზიასთან ერთად, რეგიონის მოსახლეობას შეხვდა. როგორც „მედიანიუსს“ განათლების სამინისტროდან აცნობეს, შეხვედრაზე მისულ საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდა უშუალოდ მთავრობის წარმომადგენლებისაგან მიეღოთ პასუხი იმ შეკითხვებზე, რომლებიც სხვადასხვა სფეროს, მათ შორის განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებს შეეხებოდა.

დიმიტრი შაშკინის განცხადებით, ანალოგიური შეხვედრები რეგიონების მოსახლეობასთან განსაკუთრებული მუხტის მატარებელია. ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს ყველაზე ობიექტურად სწორედ მოსახლეობა აფასებს, უშუალოდ ხალხისაგან მოსმენილი შეფასებები და რჩევები შემდეგ მომავალ სამოქმედო გეგმებზე აისახება.

მედიანიუსი

## ქართული მხარე რუსეთს ვატო ყიფიანის ექსტრადირებას სთხოვს

ქართულ მხარეს რუსეთიდან ვატო ყიფიანის ექსტრადიციის მოთხოვნაზე პასუხი ჯერ არ მიუღია.

როგორც „მედიანიუსს“ გენერალურ პროკურატურაში განუცხადეს, წითელი ცირკულარით ძებნილი ვატო ყოფიანის ექსტრადციის მოთხოვნის შესახებ განცხადება, საქართველოს პროკურატურამ რუსეთის პროკურატურას 25 მარტს გაუგზავნა.

პროკურატურაში იმედოვნებენ, რომ რუსეთიდან პასუხს უახლოეს დღეებში მიიღებენ.

შეგახსენებთ: საქართველოს მოქალაქე ვატო ყიფიანი რუსმა სამართლადამცავებმა რამდენიმე დღის წინ, მოსკოვში ადამიანის გატაცებისა და ფულის გამოძალვის ბრალდებით დააკავეს.

საქართველოში კი, მის წინააღმდეგ საქმე 2010 წლის შემდგომაზე აღიძრა. მას ფეხბურთელ გიორგი დემეტრაძესთან ერთად, ე.წ მაზავშიკებისგან 140 000 დოლარის გამოძალვაში ედება ბრალი. იმ დროს ყიფიანი უკრაინაში ცხოვრობდა და ქართველმა სამართალდამცავებმა მისი დაკავება ვერ შეძლეს.

ინტერპოლის მიერ საერთაშორისო ძებნის გამოცხადების შემდეგ საცხოვრებლად რუსეთში გადავიდა.

მედიანიუსი

# მიუნხენში გაჩეჩილაძემ და ბიწაძემ იჩხუბეს

**ყველას კარგად გვახსოვს, რა ამბები ატყდა ცოტა ხნის წინ ბადრი ბიწაძის სკანდალური ინტერვიუს გამო. ამ ინტერვიუში ბიწაძემ ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერს სერიოზული ბრალდებები წაუყენა. ამას მაშინ დიდი ჟრიამული მოჰყვა. გაჩეჩილაძე ბიწაძესთან ჯერ პირპდაპირ ეთერში ითხოვდა დებატებს. მერე თქვა, სანამ დოკუმენტაცია არ იქნება წარმოდგენილი, დებატაბში არ შევალო.**



თეა მარხვაი ე

ეს ხმაურიანი თემა საკმაოდ მალე მიჩუმდა. მხარეები ერთმანეთის მიმართ მსუბუქი „პწკენებით“ შემოიფარგლებოდნენ. რამდენიმე ინტერვიუს შემდეგ თითქოს ყველას ყველაფერი დაავიწყდა.

ბოროტი ხმები კი ამბობდნენ, რომ ისინი შერიგდნენ. უფრო ბოროტები ამტკიცებდნენ, რომ მათ შორის მომხდარი დაპირისპირებაც სპექტაკლის შემავალი ნაწილი იყო.

ეს ჭორები საფრანგეთში ნინო ბურჯანაძის ვიზიტის შემდეგ გახდა აქტუალური. გავრცელებებული ხმების თანახმად, ის პარიზში ირაკლი ოქრუაშვილს შეხვდა, რომელიც სხვათა შორის გაჩეჩილაძის თანაპარტიელია.

საზოგადოებისთვის ისიც არის ცნობილი, რომ ოქრუაშვილმა პარლამენტის ექს-სპიკერს თავისი პარტიის თავმჯდომარეობა შესთავაზა. ბურჯანაძეს საკუთარი პარტია და სხვა მიზნები ჰქონდა, ამიტომ ყოფილი მინისტრის შეთავაზებას არ დათანხმდა.



ოქრუაშვილს არ უყვარს ხოლმე, როცა მის თხოვნებს არ ასრულებენ. გამწარებულმა ექს-სპიკერთან დაკავშირებით მწვავე განცხადებები გააკეთა. ამ საუბარში ყოფილი თავმჯდომარის ნალოლიავები სახალხო კრებაც შემოეკრიტიკა. სწორედ ამ ამბებს მოჰყვა ბიწაძის სკანდალური ინტერვიუ.

ამ ფრონტზე კარგა ხანს სიჩუმე იყო ჩამოვარდინი. მხარეები ამ თემაზე არ საუბრობდნენ და ერი მათ შერიგებაშიც დარწმუნდებოდა, მიუნხენში ერთი ინციდენტი რომ არ მომხდარიყო.

ჩვენი ოპოზიციონერები რატომლაც ძალიან ხშირად დადიან მიუნხენში. პარიზში გამაგრებულ ოქრუაშვილსაც იქ ხვდებიან ხოლმე. როგორც ჩანს, ამ ქალაქს აქვს განსაკუთრებული ხიბლი, ანდა ჩვენი ოპოზიციონერები ლეგენდარული მიუნხენის „ბაიერნის“ ფანები არიან.

„ბაიერნის“ სიყვარულმა თუ რიგმა სხვა მიზეზებმა ბადრი ბიწაძე გაჩეჩილაძეს მიუნხენის საერთაშორისო აეროპორტში შეახვედრა. ბიწაძე მარტო იყო, გაჩეჩილაძეს კი მხარს ეროსი კიწმარიშვილი და კოკა გუნცაძე უმაგრებდნენ.

მათ შორის მომხდარი ინციდენტის ამბავი პირველად სოციალურ ქსელში გავრცელდა და გუშინ მთელი ერი ამაზე ლაპარაკობდა. ერს ცოტა ხნით ხორვატიის ნაკრების ძლევაც კი მიავიწყდა.

თავიდან დაპირისპირებული მხარეები კომენტარების გაკეთებაზე უარს ამბობდნენ. არც ქართული პარტია და არც ბიწაძის ფლანგი მიუნხენში მომხდარ ინციდენტს არ ადასტურებდნენ.

პირველმა ინციდენტის არსებობა სასაზღვრო პოლიციის ყოფილმა შეფმა ბადრი ბიწაძემ დაადასტურა.

— გაჩეჩილაძემ მიიღო ახალი დავალება, რომ მომიწყოს პროვოკაციები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, რომ მდგომარეობიდან გამომიყვანოს. მას ამაში უხდიან ფულს. მას შეუძლია პროვოკატორობა, სხვა არაფერი. მაგრამ მე არა ვარ ის პიროვნება, რომ იაფფასიან პროვოკაციას ავყვე, — განაცხადა ბიწაძემ.

კითხვაზე, ჰქონდა თუ არა ფიზიკურ დაპირისპირებას ადგილი, ბიწაძემ განმარტა, რომ „მასთან ფიზიკური დაპირისპირება ძნელი საქმეა“.

რატომ მოხდა მათ შორის დაპირისპირება, ეს ამბავი არ ხმაურდება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს „ბაიერნის“ გამო მოხდა. ალბათ, ერთ-ერთი მხარე „ინტერის“ გულშემატკივარი იყო. მიუნხენის ფანებისთვის კი ინტერთან განცდილი მარცხი მტკივნეულია.

ჰოდა, მიუნხენის საერთაშორისო აეროპორტშიც სკანდალი აიწია. ჩვენი ოპოზიციონერების წყალობით ეს აეროპორტი შესაძლოა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური გახდეს.

ბიწაძე-გაჩეჩილაძის გერმანულ დუელზე გუშინ კომენტარი დემოკრატიული მოძრაობის ლიდერმა ნინო ბურჯანაძემაც გააკეთა, რომელიც უფრო მეტად შეფიცულთა რაზმების ლიდერის, გია ბურჯანაძის დაკავებით იყო აღშფოთებული. გია ბურჯანაძე პოლიციამ პარასკევს დააკავა.

მასთან ერთად კიდევ 4 ოპოზიციონერი დააკავეს. მათი დაკავება ყაზბეგის გამზირზე მოხდა, სადაც ოპოზიცია სასჯელაღსრულების სამინისტროს წინ აქციას მართავდა.

ბურჯანაძე ბუნებრივია აღფრთოვანებული არ არის გერმანიაში მომხდარი ჩხუბით. მისი თქმით, თუ რამე იყო გასარკვევი, ამის გაკეთება თბილისშიც შეიძლებოდა.

— ჩვენ არავისთან არ გვაქვს კონფლიქტი. ძალიან უცნაურია, რომ ბატონმა ლევანმა გადაწყვიტა ეს საკითხი, რომელიც უკვე კარგა ხანია ტრიალებს საზოგადოებაში, გაერკვია მაინცდამაინც მიუნხენის აეროპორტში. მე ვფიქრობ, რომ თუ მას რაიმე აქვს გასარკვევი, არც ბადრი ბიწაძე ცხოვრობს მიუნხენში და არც ლევან გაჩეჩილაძე. გაცილებით სწორი იქნებოდა, რომ თბილისში შეხვედროდნენ ერთმანეთს და გაერკვიათ. მე არ მგონია, რომ კაცებს ასეთი რამ უჭირდეთ. ცხრა მთის იქით, უცხო ქვეყნის აეროპორტში ამ საკითხების გარკვევა უხერხულია, — განაცხადა პარლამენტის ყოფილმა სპიკერმა.

ამ ინციდენტამდე მხარეები ერთმანეთის მოხსენიებისგან თავს იკავებდნენ. მიუნხენური გაუგებრობის შემდეგ კი სკანდალების ახალ კასკადს უნდა ველოდოთ. ამ ქვეყანაში ხომ სათქმელი ძალიან ბევრია.

# ხელისუფლების უკანონობას საერთაშორისო ორგანიზაციები გმობენ

შორენა კოწოწაშვილი

25 მარტს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროსთან გამართულ საპროტესტო აქციაზე დაპატიმრებული 7 პიროვნების მხარდასაჭერად გუშინ არასამთავრობო სექტორის და ოპოზიციის წარმომადგენლებმა საპროტესტო განცხადებები გააკეთეს.

სააკაშვილის ხელისუფლების ოპონენტები თვლიან, რომ უკანონო პატიმრების მხარდამჭერ საპროტესტო აქციაზე, რომელსაც რამდენიმე ათეული ადამიანი ესწრებოდა, უკანონოდ დაპატიმრებული გია ბურჯანაძის და სხვათა დაკავება უფრო პოლიტიკურ მოტივებს ემყარება, ვიდრე სამართლებრივს.

25 მარტს დაპატიმრებულებთან მიმართებაში გუშინ საგანგებო განცხადება გააკეთა მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ დამფუძნებელმა ეკა ბესელიამ. ეკა ბესელიამ სპეციალური განცხადებით მიმართა ევროპარლამენტის და ევროკომისიის თავმჯდომარეებს, ევროპარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ხელმძღვანელს და საერთაშორისო ორგანიზაციებს დახმარებისთვის. უფლებადამცველმა იმედი გამოთქვა, რომ დემოკრატიული დასავლეთი მსგავს ფაქტებზე დროულ და ადეკვატურ რეაგირებას მოახდენს და ამით ხელისუფლებას აგრძნობინებს, რომ დასავლეთი მხარს ქართველი ხალხის სამართლიან მოთხოვნას უჭერს.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, წერილები უშუალოდ ადრესატებს გადაეცემათ. უფლებადაცვითი ორგანიზაციის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან რეაქცია ადეკვატური იქნება და პოლიციური რეჟიმის ქმედება სათანადოდ შეფასდება.

— 25 მარტს მომხდარი ინციდენტი საქართველოში პოლიციური რეჟიმის დამადასტურებელი კიდევ ერთი ფაქტია. აქცია „მეც პატიმარი ვარ“ სანქცირებული იყო და სამართალდამცავებს ძალის გამოყენების უფლება არ ჰქონდათ. სასამართლო კი, რომელიც პოლიციელის მხრიდან ძალის გამოყენების ერთ-ერთი მარეგულირებელი ბერკეტი უნდა იყოს, პოლიტიკური დაკვეთების შემსრულებლად იქცა და 25 მარტს მოსამართლე დარასელიას მიერ აქციის დროს დაკავებული მონაწილეების მიმართ გამოტანილი განაჩენი სწორედ ამისი დამადასტურებელი ფაქტია, — განცხადა ეკა ბესელიამ.

მისი თქმით, საქართველომ საერთაშორისო ორგანიზაციების ძალა საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლის მოსახდენად მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს.

— უკვე შედეგია ის, რომ ევროსაბჭოს, ევროკავშირისა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ რეზოლუციებში მსგავსი ძალადობრივი ფაქტები ფიგურირებს. თუ ხელისუფლებას საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მის მიმართ არსებული დამოკიდებულება არ აინტერესებს, ეს ნიშნავს, რომ საკუთარ თავს იზოლაციაში თავადვე აქცევს, — აღნიშნა ბოლოს ეკა ბესელიამ და კიდევ ერთხელ უწოდა უკანონო 25 მარტის აქციის მონაწილეთა დაპატიმრების ფაქტს.

## სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა

დღეს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ კიდევ ერთი გამამართლებელი განაჩენი იქნა მიღებული.

ნიკოლოზ ბახტაძეს ბრალი ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენასა და შენახვაში ედებოდა, აღნიშნული დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის I ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის 2003 წელს მოქმედი რედაქციით 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა.

საქმის მასალების მიხედვით: ქ. თბილისში 2003 წლის 8 აპრილს დაკავებული იქნა ნ. ბახტაძე, რომლის პირადი ჩხრეკისას ამოღებული იქნა ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი.

ნიკოლოზ ბახტაძემ როგორც გამოძიების ასევე საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე, თავი არ სცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და განმარტა, რომ იგი არასდროს ყოფილა ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელი და მისი პირადი ჩხრეკისას არ მომხდარა ნარკოტიკული საშუალების ამოღება. ნარკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნამ დაადასტურა, რომ ნ. ბახტაძე მართლაც არ ყოფილა ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელი.

უტყუარ მტკიცებულებაჰა ერთობლიობის საფუძველზე, სასამართლო გამოძიებისას გამოკვლეულჰ მტკიცებულებები არ აღმოჩნდა საკმარისი, პირის დამნაშავედ ცნობისთვის.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ნიკოლოზ ბახტაძე უდანაშაულოდ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

# ბაღაფში გადადგომას აპირებს?

**გუშინ მოსკოვში რუსეთსა და აფხაზებს შორის მოდაპარაკებათა მორიგი რაუნდი დაიწყო, რომელიც აფხაზეთში დიდ ვნებათაღელვას იწვევს. ბოლო დღეების განმავლობაში აფხაზური მედია ძირითადად ამ თემით იყო გაშუქებული. სახელისუფლებო კულუარებიდან გამოჟონა ინფორმაციამ, რომ რუსეთი აფხაზეთისგან 160 ათასი კვ.კმ-ს გადაცემას ითხოვს.**



თეა მარხვაი ე

ეს ინორფმაცია ოფიციალურად არავინ დაადასტურა. ამასთან, არც მისი უარყოფა უცდია ვინმეს. ამან კი ჭორები კიდევ უფრო გაამძაფრა. ჭორების გავრცელებას ხელს ბაღაფშის საეჭვო გაუჩინარებაც უწყობდა.

ეს უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში შვებულებაში იყო. აფხაზური სააგენტო „აპსნი პრესის“ ცნობით, ბაღაფში შვებულებიდან სამსახურში 28 მარტს გავიდა და პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

არასამთავრობოებს და აფხაზურ ოპოზიციას არ სჯერათ, რომ ბაღაფშს დასასვენებლად ჰქონდა საქმე. მათი ვარაუდით ბაღაფში დაიმალა. სავარაუდოდ, მას შეეშინდა, თავს არ დასტყდომოდა რისხვა. აღსანიშნავია, რომ სწორედ ბაღაფშის შვებულებაში ყოფნის დროს გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსეთი აფხაზეთისგან გაგრას ითხოვს.

თუ აფხაზები რუსების მოთხოვნას დააკმაყოფილებენ, მაშინ გამოვა, რომ საზღვარი ეშერასთან გაივლის. ეს კი „დამოუკიდებელი“ აფხაზეთის საზოგადოებას არ აწყობს.

აქ უკვე კარგა ხანია კითხულობენ, თუ რატომ იბრძოდნენ საქართველოდან გამოსვლისთვის, თუკი რუსეთის შემადგენლობაში შევიდოდნენ. ისე, ამაზე ჯერ კიდევ ომის დროს გააკეთა კარგი შეფასება ჯაბა იოსელიანმა.

— ამ აფხაზების ვერ გავიგე, აქედან გამოყოფა და რუსეთში შეყოფა უნდათო, — თქვა მხედრიონის ლიდერმა.

იმ დროს საომარი მოქმედებები ჯერ კიდევ მიდიოდა. ვერც ჩვენ და ალბათ ვერც აფხაზები ვერ წამოიდგენდნენ, რომ ყველაფერი ასე დასრულდებოდა. აფხაზებმა დამოუკიდებლობის აღიარებას ომის დასრულებიდან 15 წლის შემდეგ მიაღწიეს. სოხუმის დამოუკიდებლობა რუსეთთან ერთად კიდევ რამდენიმე ქვეყანამ სცნო.

აფხაზები ამის გამო რუსების მადლიერები იყვნენ, თუმცა, ძალიან მალე აფხაზურ საზოგადოებაში გაჩნდა უკმაყოფილება. რუსეთმა და სოხუმმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თანახმადაც ყველა სტრატეგიული ობიექტი რუსეთის ხელში გადავიდა. რუსეთი ამ ობიექტებს 49-წლიანი ვადით გააკონტროლებენ. შემდეგ კი აფხაზებს გადასცემენ.

საპროტესტო განწყობა ბოლო დროს კიდევ უფრო გაიზარდა. აფხაზები ხედავენ, რომ მათი სტრატეგიული ობიექტები ერთმანეთის მიყოლებით გადადის რუსეთის ხელში. რუსეთისთვის სამი სახელმწიფო აგარაკის ჩუქება აფხაზურ ოპოზიციას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მონელებული, როცა ახალი ამბავი გაიგეს. გავრცელებული ცნობით, რუსეთი გაგრას ითხოვს.

ეს თემა აფხაზურ მედიაში და საზოგადოებაში კიდევ რამდენიმე დღეს იქნება აქტუალური. ყოველ შემთხვევაში, პირველ აპრილამდე ამ თემაზე ნამდვილად ილაპარაკებენ, რადგანაც გუშინ დაწყებული მოლაპარაკებები სწორედ პირველ აპრილამდე გასტანს.

სავარაუდოდ, პირველ აპრილს გაირკვევა, რას ითხოვს რუსეთი აფხაზებისგან. მანამდე კი ბევრი ვარაუდი გამოითქმება. აფხაზეთის მოსახლეობა ალბათ უკვე ნანობს, პრეზიდენტად სერგეი ბაღაფში რომ აირჩიეს.

ის რატომღაც აფხაზურ არჩევნად მიაჩნდათ. მისი კონკურენტი ხომ კრემლის ფავორიტი რაულ ხაჯიმბა იყო. რომელსაც პუტინთან პირადი ახლობლობა აკავშირებდა; აფხაზებიც და ჩვენი ნაციონალებიც 2004 წელს ბაღაფშზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. ერთსაც და მეორესაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. სერგეი ვასილიჩი იმაზე პრორუსული გამოდგა, ვიდრე ეს ვინმეს წარმოედგინა.

არადა, ჩვენი ნაციონალები ამტკიცებდნენ, მაგას ცოლი ჰყავს ქართველი და ქართულ საქმეს გააკეთებსო. თავის ქართველ ცოლთან დაკავშირებით მან შარშან რუსულ გამოცემასთან გააკეთა კომენტარი.

— ჩემი ცოლი ქართველია, მაგრამ ჩემზე მეტი სეპარატისტია, — განუცხადა რუსულ გამოცემას ბაღაფშმა.

აფხაზურმა ოპოზიციურმა პარტიებმა თავიანთ ხელისუფლებას უკვე მიმართეს საგანგებო განცხადებით. ისინი კატეგორიულად ითხოვენ, რომ სოხუმმა მოსკოვს 160 ათასი კვ.კმ არ დაუთმოს.

მითქმა-მოთქმას და ჭორებს ისიც აძლიერებს, რომ ჩინოვნიკები ოფიციალურ კომენტარს არ აკეთებენ. ისინი რუსეთის პრეტენზიების არსებობაზე არც დადებით პასუხს იძლევიან და არც უარყოფითს.

აფხაზური მედია ეჭვობს, რომ ეს დუმილი თანხმობის ნიშანია. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი კომენტარს აუცილებლად გააკეთებდნენ.

საინტერესოა ის პოზიციაც, რომელიც აფხაზეთში რუსეთის ელჩმა დაიკავა. ცნობისათვის აფხაზეთში რუსეთის თავისი ელჩი ჰყავს. მოსკოვში აფხაზეთის ელჩიც ზის.

აფხაზური მედიის ცნობით, რუსეთის ელჩმა დოკუმენტის ხელმოწერამდე მოითხოვა, დაებლოკათ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც სადემარკაციო საქმეებს შეეხება.

გაგრის შესაძლო დაკარგვაში აფხაზები თავიანთ პრეზიდენტს ადანაშაულებენ. ამასთან, ზოგიერთი გამოცემა იმასაც ამტკიცებს, თითქოს ბაღაფში ამის კატეგორიული წინააღმდეგია.

— ბაღაფშმა თქვა — გავწვები, გადავდგები, მაგრამ ამ დოკუმენტის გათრევას არ დავუშვებ, რომლის მიხედვითაც აფხაზეთი მთელს თავის მთიან ტერიტორიის ნაწილს კარგავს. 160 კვადრატული კილომეტრის ტერიტორია რუსეთისათვის ძალიან მცირეა, აფხაზეთისათვის კი — არა, — წერს აფხაზური მედია.

თუ მართლა აპირებს ბაღაფში ამის გაკეთებას, წესით, მალე უნდა გაწვეს ან გადადგეს, რადგანაც მოლაპარაკებები უკვე დაიწყო და არავინ იცის, რით დასრულდება.

აფხაზეთის მიმართ რუს ჩინოვნიკებს ყოველთვის ჰქონდათ ინტერესები. მათ უკვე კარგა ხანია, რაც ხელში ჩაიგდეს სტრატეგიული ობიექტები. როგორც ჩანს, ახლა უნდა მიწასაც დაეპატრონონ.

აქაურობაზე თვალი ცუდად ჰქონდა დადგმული მოსკოვის ყოფილ მერ იური ლუჟკოვს, რომელიც აქ მნიშვნელოვანი ინვესტიციების ჩადებით იმუქრებოდა, რითიც ჩვენს საწყალ ხელისუფლებას ნერვებს უშლიდა.

ნერვების მოსაშლელად ახლა საქმე ნამერალს აქვს. მას მოსკოვში სერიოზული პრობლემები შეექმნა. პრობლემებმა მას აფხაზეთშიც ჩამოაკითხა. ცოტა ხნის წინ გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ ლუჟკოვს შესაძლოა აფხაზეთში ქონება ჩამოართვან.

ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს სოხუმის რეჟიმი, თუმცა, თუ რუსეთმა გადაწყვიტა, ლუჟკოვს აფხაზეთში აღარაფერი დარჩება. არადა, მერობის ჟამს ლუჟკოვმა აფხაზეთში სერიოზული ქონება დაითრია.

რუსულ მედიაში გავრცელდა ცნობა, რომ მოსკოვმა და სოხუმმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც სახელმწიფო საკუთრებაში უნდა დაბრუნდეს ის მიწის ნაკვეთები და ნაგებობები, რომლებიც კერძო პირებმა მიითვისეს. ეს გადაწყვეტილება, როგორც ამბობენ, იური ლუჟკოვის ხათრით არის მიღებული.

როგორც ირკვევა, ლუჟკოვი გაგრასა და სოხუმში ელიტურ საკუთრებას ფლობს. მოსკოვის ექს-მერს ეკუთვნის გაგრაში მდებარე სტალინის აგარაკი, სანატორიუმი „ამრა“, პანსიონატები „გაგრიპში“ და „კოლხიდა“. მასვე ეკუთვნის თურმე გაგრის სანაპიროს მნიშვნელოვანი ნაწილი.

იური ლუჟკოვს სოხუმშიც მნიშვნელოვანი ქონება აქვს. მას ეკუთვნის სასტუმროები „რიწა“ და „აფხაზია“. ასევე მის სახელზეა გაფორმებული სოხუმის ცენტრში მდებარე დიდი მიწის ნაკვეთი, სადაც გასართობი ცენტრი და გოლფის კლუბი შენდება.

მოსკოვის ექს-მერს აფხაზეთში საკუთრება რომ გააჩნია, ამას ოფიციალური პირებიც ადასტურებენ. მათ შორის არის აფხაზთა თავდაცვის მინისტრი მირაბ ქიშმარიაც.

— მას ძალიან უყვარს აფხაზეთი. მომგებიანია სასტუმროების ქონა. აქაურობას ზაფხულობით ტურისტთა დიდი ნაკადი აწყდება. ამ მიწებს სახელმწიფოსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც ისინი დაუბრუნდება სახელმწიფოს, — აცხადებს აფხაზთა პირველი სამხედრო.

ამ განცხადებას სერგეი ბაღაფში გამოეხმაურა. მისი განცხადებით, ქიშმარიას მსგავსი რამე არ უთქვამს. თურმე ეს ყველაფერი ჟურნალისტებმა მოიგონეს. ბაღაფში უარყოფს, რომ მოსკოვის ყოფილი მერისთვის ვინმე რამის წართმევას აპირებს. ისე, საინტერესოა, რა ელუჟკოვება ბაღაფშს, რომელსაც 160 კვ.კმ-ს წართმევას უპირებენ.

# ალვირახსნილ დიქტატორ სააკაშვილს აშშ-ს კონგრესი მფარველობს

შორენა კოწოწაშვილი



ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების ლობირებაში ამერიკელ კონგრესმენებს ადანაშაულებს და ამით მათ ნაწილობრივ პასუხისმგებლობასაც აკისრებს იმ უკანონობებსა და დანაშაულებრივ, ანტიეროვნულ პოლიტიკაზე, რომელიც საქართველოში ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდგომ ხორციელდება. დაახლოებით ამ შინაარსის განცხადება გააკეთა გუშინ ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნებულმა ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა პარტიის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე.

ნათელაშვილის ვიზიტის შესახებ ინფორმაციას პარტიის წევრები პერიოდულად ავრცელებდნენ და აცხადებდნენ, რომ ეს ვიზიტი უმნიშვნელოვანესი იყო არა მხოლოდ პარტიის სამომავლო ნაბიჯებისთვის. საქართველოს პირველი ლეიბორისტი ქვეყნის პირველ პირს ალვირახსნილ დიქტატორს უწოდებს და დარწმუნებულია, რომ მალე სააკაშვილი და მისი რეჟიმი ობიექტური მართლმსაჯულების წინაშე წარდგებიან.

— მინდა იცოდეს ამერიკელმა და ქართველმა ხალხმა, თუ ვინ არის ალვირახსნილი დიქტატორის მიხეილ სააკაშვილის მფარველი. ეს არის ამერიკის კონგრესი. იმ შემთხვევაში, თუ ამერიკელ კანონმდებელთა მიერ სააკაშვილის ტერორისტული რეჟიმის ლობირება გაგრძელდა, ჩვენ იძულებული გავხდებით, შტატებში პირდაპირ მათ ამომრჩევლებს ვაცნობოთ, თუ ვისი მეგობრები არიან ისინი, — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

შრომის პარტიის ლიდერმა ჟურნალისტებთან საუბრისას ამერიკაში ვიზიტი შეაჯამა და განაცხადა, რომ ვიზიტი საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების გამოღვიძებას ეძღვნებოდა.

შრომის პარტიის ლიდერის განცხადებით, მნიშვნელოვანი იყო ვაშინგტონში თეთრ სახლთან გამართული საპროტესტო აქცია. ნათელაშვილის თქმით, მისი ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა ამერიკის მთავარ სტრატეგიულ ინსტიტუტებში. ამასთან, ამ ვიზიტის ფარგლებში მსოფლიო პოლიტიკურ ცენტრში პირველად გაისმა სრულიად საქართველოს ხმა, ხმა თავისუფლების, დამოუკიდებლობის და მომავალი გამარჯვების.

# სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები 350 მილიონი ლარით იზრდება

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები, 350 მილიონი ლარით იზრდება. შესაბამისი საბიუჯეტო ცვლილება პარლამენტში მთავრობის მიერ გუშინ შევიდა.

როგორც ჟურნალისტებს მთავრობის საპარლამენტო მდივანმა გია ხუროშვილმა განუმარტა, საბიუჯეტო ცვლილებების თანახმად, ასაკით პენსიონერებისა და პირველი ჯგუფის ინვალიდების პენსია პირველი სექტემბრიდან, 100 ლარი იქნება.

ასევე, ბიუჯეტის პროექტით, ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 4, 3 პროცენტიდან 3, 7 პროცენტამდე მცირდება.

საბიუჯეტო ცვლილებების განხილვას პარლამენტი 30 მარტიდან დაიწყებს.

**ინტერპრესნიუსი**

# ზოგიერთ სამარშრუტო ხაზზე მგზავრობა აპრილიდან გაძვირდება

თბილისში, ვაგზლის მოედნიდან გლდანის მერვე მიკრორაიონის მიმართულებით მოძრავ №77 სამარშრუტო მიკროავტობუსით მგზავრობა 1-ლი აპრილიდან 70 თეთრამდე გაიზრდება.

ამის მიზეზი, სამარშრუტო ტაქსის მძღოლებმა საწვავზე ფასების ზრდა დაასახელეს.

1-ლი აპრილიდან მგზავრობის გაძვირებასთან დაკავშირებით მგზავრთა გაფრთხილება სამარშუტო ტაქსის სალონში გამოკრული განცხადებებით დაიწყეს.

— ძვირდფასო მოქალაქენო, საწვავის ფასების გაზრდის გამო, მგზავრობის საფასური პირველი აპრილიდან 70 თეთრი გახდება. პრობლემის ადექვატურად აღქმისთვის წინასწარ გიხდით მადლობას, — ნათქვამია სამარშუტო ტაქსის სალონში გამოკრულ გაცხადებაში.

როგორც „მედიანიუსს“ საავტომობილო



ტრანსპორტთა გზების მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე ლავრენტი ალანიამ განუცხადა, სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობა ლოგიკურია რომ იზრდება. ალოგიკურია მხოლოდ საწვავზე ფასების ზრდა.

— ტრანსპორტზე ფასები უფრო ადრეც უნდა გაზრდილიყო. თუ მოიმატა ფასებმა საკვებზე და ეს ყველაფერი საწვავის ფასების ზრდით აიხსნებოდა, მაშინ რატომ არ უნდა გაზრდილიყო სამარშრუტო ტაქსით მგზავრობა?! გამოდის, რომ დღემდე მძღოლები თითქმის თვითღირებულებაზე ნაკლებ საფასურად მუშაობდნენ, — განაცხადა ლავრენტი ალანიამ.

შეგახსენებთ, მიმდინარე წლის 4 მარტს მგზავრობა გაძვირდა №221 სამარშრუტო ხაზზე, რომელიც ლილოს დასახლებას ვაგზლის მოედანს აკავშირებს. თბილისის მერიის ტენდერში გამარჯვებული კომპანია „თბილქარის“ დაპირების მიუხედავად, რომელიც მგზავრობის ფასის შენარუნებას შეეხებოდა, №221 სამარშრუტო ტაქსით მგზავრობა კვლავ 70 თეთრია.

7 მარტს კი ვარკეთილის II მიკრორაიონიდან მუხიანის IV მიკრორაიონის მიმართულებით მოძრავი №141 სამარშრუტო მიკროავტობუსით მგზავრობის საფასური 70 თეთრამდე გაიზარდა. თუმცა, მოგვიანებით მგზავრობის საფასური კვლავ 50 თეთრი გახდა.

სამარშრუტო მიკროავტობუსით მგზავრობის ფასის გაზრდის მიზეზად ამჯერადაც საწვავის გაძვირება დასახელდა. აღსანიშნავია, რომ მარტის თვეში მგზავრობა ასევე გაძვირდა რუსთავის თბილისის მიმართულებით მოძრავი სამარშრუტო ტაქსებითაც.

**მედიანიუსი**

# ახმეტის პოლიციის უფროსი თანამდებობიდან მოხსნეს

ახმეტის პოლიციის უფროსი ზურაბ ფილაშვილი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ფილაშვილის თანამდებობიდან მოხსნის მიზეზი, ახმეტის ცენტრში ეკლესიის მშენებლობისთვის შემოწირულობების შეგროვება გახდა, — აცნობეს „მედიანიუსს“ კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან. როგორც შს კახეთის სამხარეო მთავარ სამმართველოში აღნიშნეს, ფილაშვილმა თანამდებობა პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა. ზურაბ ფილაშვილი კომენტარს არ აკეთებს. ზურაბ ფილაშვილი ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის კობა მაისურაძის დის შვილია.

**მედიანიუსი**

# ბულგარეთი საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებაში მხარს უჭერს

**ბულგარეთი საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას მხარს დაუჭერს. ამის შესახებ განცხადება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ ბულგარეთის სახალხო კრების თავმჯდომარე ცეცკა ცაჩევასთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე გააკეთა.**

ნანა მიშელაშვილი

— საქართველოს და ბულგარეთს ბევრი საერთო აქვს, მათ შორის ეკონომიკის სფეროში. ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას, რომ თქვენი ურთიერთობების განმტკიცებაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია შავი ზღვის რეგიონმა შეიძინოს ეკონომიკური რეგიონის მნიშვნელობა, იყოს უფრო მეტი სატრანსპორტო გადაზიდვები, ერთობლივი ენერგეტიკული პროექტები შავი ზღვის ქვეყნებს შორის, —



ქვეყანა ევროპული ოჯახის წევრი გახდეს, — აღნიშნა ერთობლივ ბრიფინგზე ცეცკა ცაჩევამ.

მისივე თქმით, ბაქრაძესთან შეხვედრაზე ასევე საუბარი შეეხო ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის საკითხების განხილვას, მათ შორის ეკონომიკის სფეროში. ბულგარეთის, როგორც ნატოსა და ევროკავშირში ახლად გაწევრიანებული ქვეყნის გამოცდილება საქართველოსთვის მნიშვნელოვანია.

— ბულგარეთი არის ქვეყანა, რომელსაც საქართველოსთან ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური, პარტნიორული ურთიერთობები აკავშირებს და ის არის საქართველოს მნიშვნელოვანი მხარდამჭერი ევროკავშირსა და ნატოში. ამ ვიზიტით იწყება საპარლამენტო თანამშრომლობა ორ ქვეყანას შორის. საქართველოსა და ბულგარეთს აკავშირებს ეკონომიკა, ისტორია, მეგობრობა, პოლიტიკა, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ დღემდე არ ყოფილა მაღალი დონის საპარლამენტო ვიზიტები და საპარლამენტო კონტაქტები, — აღნიშნა დავით ბაქრაძემ.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, უახლოეს მომავალში ასევე იგეგმა ქართული დელეგაციის სოფიაში ვიზიტი, რაც ორმხრივ თანამშრომლობის გაღრმავებას შეუწყობს ხელს.

ამ ვიზიტით საქართველოს და ბულგარეთის საკანონმდებლო ორგანოებს შორის იწყება რეალური და სერიოზული თანამშრომლობა. ჩვენ ვისაუბრეთ ყველა აქტუალურ თემაზე, ეკონომიკური ურთიერთობების განმტკიცებაზე — აღნიშნა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ.

დავით ბაქრაძის თქმით, საუბარი ასევე შეეხო ორ ქვეყანაში მიმდინარე და გატარებულ რეფორმებს. ბაქრაძის განცხადებით, ბულგარელ კოლეგასთან შეხვედრაზე განხილვის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო საქართველოს ოკუპირებული რეგიონები და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები.

— ბულგარეთი ყოველთვის იყო საქართველოს მხარდამჭერი და იმედი მაქვს ეს მხარდაჭერა მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება, — აღნიშნა დავით ბაქრაძემ.

ბულგარეთის სახალხო კრების თავმჯდომარე ცეცკა ცაჩევა საქართველოში 27 მარტს ჩამოვიდა. დავით ბაქრაძემ და ცეცკა ცაჩევამ შეხვედრის დროს ისაუბრეს საქართველოსა და ბულგარეთს შორის საჰაერო გადაზიდვების ხელშეკრულების შესახებ. დელეგაციაში იმყოფება ბულგარეთის ტრანსპორტის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციის მინისტრი ალექსანდერ ცვეტკოვი, რომელიც საჰაერო გადაზიდვების შესახებ ხელშეკრულებას აწერს ხელს.

ვიზიტის ფარგლებში ბულგარეთის სახალხო კრების თავმჯდომარემ მოინახულა ქალაქის ძველი უბნები. ბულგარეთის სახალხო კრების თავმჯდომარე დავით ბაქრაძის გარდა, ასევე ხვდება პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს და პრემიერ ნიკა გილაურს, ასევე საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს ილია მეორეს.

ცეცკა ცაჩევა საქართველოს 29 მარტს დატოვებს.

# რუსეთსა და აფხაზეთს შორის არ არსებობს საზღვარი

**საგარეო საქმეთა სამინისტროში ორშაბათის ტრადიციული პრესკონფერენცია გაიმართა. გრიგოლ ვაშაძის მოადგილემ ნინო კალანდაძემ, საგარეო საქმეთა სამინისტროს დატვირთულ სამუშაო გრაფიკზე ისაუბრა მიმდინარე კვირას.**

ნათია ხურცილავა




საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე საქართველოს დელეგაციასთან ერთად ვიზიტით ნიუ-იორკში იმყოფება. აღნიშნული ვიზიტის მიზანია, როგორც კალანდაძემ გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა, შეხვედრების გამართავა გაეროს ფარგლებში გაეროს წევრი ქვეყნის წარმომადგენლობის ხელმძღვანელებთან. ვაშაძე ასევე გამართავს ორმხრივ შეხვედრებს.

საქართველოს პირველი დიპლომატის ვიზიტი 4 აპრილს ესპანეთის სამეფოში გაგრძელდება.

გრიგოლ ვაშაძე თავის ესპანელ კოლეგასთან გამართავს შეხვედრებს, რომელიც აღნიშნულ პოსტზე ახალი არჩეულია.

ესპანეთის საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველო თანამშრომლობს.

კალანდაძის განცხადებით, ამ შეხვედრებზე მნიშვნელოვანი იქნება ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობის განხილვა.

30-31 მარტს საქართველოში სამუშაო ვიზიტით ჩამოვა შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილტი.

კარლ ბილტი საქართველოს თითქმის ხელისუფლების ყველა უმაღლესი დონის წარმომადგენელთან გამართავს შეხვედრას.

ნინო კალანდაძის განცხადებით, საქართველოს განსაკუთრებულად თბილი დამოკიდებულება აქვს შვედეთის სახელმწიფოსთან და, შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის გარდა, უშიშროების საბჭოს მდივანთან და რამდენიმე მინისტრთან გამართავს შეხვედრას შვედეთის პირველი დიპლომატი.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ურთიერთობებს ამყარებს, უფრო ზუსტად კი, ურთიერთობებს აღრმავებს აფრიკის ქვეყნებთან, კერძოდ გამბიასა და სენეგალში.

აფრიკაში მიმდინარე ვიზიტს მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანია უხელმძღვანელებს.

გუშინ გახდა ცნობილი, რომ რუსეთის ფედერაცია, უშუალოდ ლავროვის უწყება, აფხაზეთთან საზღვრის დემარკაცია-დემილიტაციით არის დაკავებული.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში კომისიის სხდომა გაიმართა, სადაც განხილული იქნა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთის ფედერაციის საზღვრის გარკვევის საკითხები აფხაზეთთან.

ამ საკითხზე საგარეო საქმეთა სამინისტროში ტრადიციულ პრესკონფერენციაზე მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ რუსეთსა და აფხაზეთს შორის არავითარი საზღვარი არ არსებობს. საზღვარი არსებობს რუსეთსა და საქართველოს შორის.

— რუსეთსა და აფხაზეთს შორის არ არსებობს საზღვარი. საზღვარი არსებობს რუსეთსა და საქართველოს შორის, რომლის დემილიტაცია-დემარკაციის საკითხი გადაწყვეტას არ საჭიროებს. საზღვარი ძალიან მკაფიოდ არის გაყოფილი. როგორც დემილიტირებული, ისე დემარკირებული და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრები, შესაბამისად ნებისმიერი სახის მცდელობა, რომ შეიქმნას ფორმალური, მაგრამ არალეგალური კომისია, რომელიც რაიმე ფორმით სხვა სახის გადაწყვეტილების მიღებას ეცდება, უკანონო და არალეგიტიმური იქნება. თავისთავად ამ ფაქტს იურიდიულად არავითარი დატვირთვა არა აქვს. მათ შორის არც სამართლებრივი თვალსაზრისით. რაც შეეხება პოლიტიკურად, ეს ის გზაა, რომელსაც განაგრძობს რუსეთის ფედერაცია. კერძოდ, საქართველოს ტერიტორიების მიტაცების მცდელობა. მიტაცების ფარგლებში, რომელსაც დიდი ხანია რუსეთი ახორციელებს, ახლა დაკანონებას ცდილობს ფსევდო კომისიების შექმნით, რომელსაც არავითარი იურიდიული ძალა არ გააჩნია, — განაცხადა ნინო კალანდაძემ.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც კომენტარი გააკეთა კალანდაძემ, თურქეთ-საქართველოს შორის გამარტივებულ სავიზო მიმოსვლას ეხება.

ერთიანი კავკასიის ფარგლებში ცნობილია, რომ თურქეთ-საქართველოს შორის მიმოსვლა გამარტივდება და შესაძლებელი გახდება პირადობის მოწმობით საზღვრის გადაკვეთა.

აღნიშნული შეთანხმება საქართველოში ვიზიტად მყოფმა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გაახმოვანა.

— ამის შესახებ საუბარი ნამდვილად მიმდინარეობს. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის საქართველოში ვიზიტის დროს ეს საკითხი დადგა. მას შემდეგ ორ სახელმწიფოს შორის იხილება საზღვრის გადაკვეთის გამარტივებული რეჟიმი ორი ქვეყნის მოქალაქეებისთვის. ასეთი რეჟიმი ნაწილობრივ არსებობს, მაგრამ არ ვრცელდება ყველა გადამკვეთ პუნქტზე. თუმცა, ორივე სახელმწიფოს ინტერესში არის, რომ მოქალაქეებისთვის გამარტივდეს მიმოსვლა. ჩვენ განსაკუთრებით გაღრმავებული გვაქვს ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები თურქეთთან და სურვილი გვაქვს, რომ კიდევ უფრო დაიხვეწოს ეს ურთიერთობები. ნებისმიერი წინაღობის მოხსნას ვეცდებით, რომელიც შეიძლება ბიუროკრატიამ შექმნას. თურქეთის სახელმწიფოსთან ორმხრივი ხელშეკრულება გვაქვს დადებული, რომლის მოდიფიცირებაც შეიძლება შესაბამისად ორივე სახელმწიფოს თანხმობის შემთხვევაში. ასეთი წინადადება არსებობს და შესაბამისად თანხმობაც არსებობს. ამ წუთისთვის არსებობს პროექტი, რომელიც გაითვალისწინებს შესაბამის მუხლს, რომ შესაძლებელი იყოს მხოლოდ პირადობის მოწმობით გადაიკვეთოს საზღვარი. მათ შორის იგულისხმება ყველა შესაძლო საზღვარი, რომელიც არსებობს. ფორმალურად ხელშეკრულებაში საჭიროებს ცვლილებას და შემდეგ ორივე მხარის მიერ ამ ხელშეკრულების ხელმოწერას, — განაცხადა კალანდაძემ.

# არჩევნები ბარკოდებით უნდა ჩატარდეს

ნათია ხურცილავა

**ხელისუფლებასა და რვა ოპოზიციური პარტიას შორის მიმდინარე მოლაპარაკების პროცესი საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების კუთხით, შეიძლება ითქვას, ჩიხშია შესული.**



ოპოზიციურ რვიანსა და ხელისუფლებას შორის ოთხშაბათობით ცესკოში მიმდინარე მოლაპარაკებები შეჩერებულია.

აღნიშნული ფაქტის შემდეგ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ახალი წინადადებით გამოდის.

ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ ახალი ინიციატივა გუშინ „ინტერპრესნიუსის“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე გაახმოვანა.

მათი ინიციატივა არჩევნების ე.წ. ბარკოდებით გამოყენებით ინიციატივას ეხება.

პრესკონფერენციაზე ედპ-ს ინიციატივაზე პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა, გიორგი გოგნიაშვილმა ისაუბრა.

გოგნიაშვილის განმარტებით, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ეთანხმება ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების პოზიციას საარჩევნო რეგისტრაციის ბიომეტრიული მეთოდით ჩატარებასთან დაკავშირებით.

როგორც გოგნიაშვილმა პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს განუცხადა, პარტიაში მიაჩნიათ, რომ მხოლოდ ბიომეტრიული რეგისტრაცია საკმარისი არ არის.

— არჩევნები ე.წ. ბარკოდების გამოყენებით უნდა ჩატარდეს, რითაც მოხდება ამომრჩევლის იდენტობის დადასტურება. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას ასევე აქვს საკუთარი მოსაზრებები საარჩევნო სისტემის რეფორმირების შესახებ. ჩვენ კვლავაც ველოდებით კონკრეტულ პასუხს ხელისუფლებისგან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, — განაცხადა გიორგი გოგნიაშვილმა.

გონიაშვილმა ასევე განმარტა, რომ ბარკოდებისთვის საჭიროა პლასტიკური ბარათების დამზადება, რომელზეც ამომრჩევლის ინდივიდუალური კოდი იქნება დატანილი, ხოლო კოდების საარჩევნო უბნებზე განთავსებული სპეციალური აპარატით წაიკითხავენ.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური მდივნის განცხადებით, ბიომეტრიული რეგისტრაციისთვის საჭირო მოწმობებისა და აღჭურვილობისგან განსხვავებით, მათი ინიციატივის განხორციელება ანუ ბარკოდების პრაქტიკაში შემოტანა გაცილებით იაფი დაუჯდება სახელმწიფოს.

— ბიომეტრიული რეგისტრაციისთვის საჭირო ელექტრონული მოწმობებისა და აღჭურვილობისგან განსხვავებით, ბარკოდების პრაქტიკაში შემოტანა საკმაოდ იაფი დაჯდება. ბარათების დამზადება 50 ცენტი, ხოლო კოდების წამკითხავი აპარატი 10 დოლარი ღირს, — განაცხადა გიორგი გოგნიაშვილმა.

გიორგი გოგნიაშვილი აცხადებს, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მზადყოფნას აცხადებს, გამართოს კონსულტაციები ოპოზიციურ რვიანსა და სხვა ოპოზიციურ პარტიებთან პოზიციების შესაჯერებლად.

ვინ გამოეხმაურება ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აღნიშნულ ინიციატივას და რა პოზიცია ექნება ოპოზიციურ რვიანს, ეს საკითხი კონსულტაციების შემდეგ გახდება ცნობილი, რომელიც უახლოეს დღეებში გაიმართება.

# ხელისუფლებამ გაჭედა

## ნაციონალებს მაინც დავამარცხებთ

ნონა ცაბა ე

**ინტერვიუ კონსერვატიული პარტიის ლიდერ ზვიად ძიძიგურთან**

***— ბატონო ზვიად, საზოგადოების დიდი ნაწილისთვის რვიანის პოზიცია გაურკვეველი დარჩა. ითქვა, რომ არ გადიხართ მოლაპარაკებებიდან, მაგრამ მოლაპარაკებებს წყვეტთ. იქნებ განუმარტოთ საზოგადოებას, რა ხდება?***

— რვა პარტიამ ხუთ თვეზე მეტია, რაც წარუდგინა საზოგადოებას თავისი ხედვები საარჩევნო გარემოს და საარჩევნო კოდექსის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. ყველა თემა, რომელსაც ჩვენ შევეხეთ, მინდა მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, იყო დამუშავებული უაღრესად კვალიფიციურად, ეს იყო საერთაშორისო არბიტრების წინაშე, ანუ დიპლომატიური კორპუსის, არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე მიმდინარე პროცესი და ჩვენ ყველაფერი წარვუდგინეთ ხელისუფლებას. ხელისუფლების მხრიდან მივიღეთ ხშირ შემთხვევაში აგდებული დამოკიდებულება, მივიღეთ პასუხი, რომელიც ძალიან გავდა იმას, რომ ხელისუფლება არ არის მზად არავითარი ასეთი ტიპის ნაბიჯის გადასადგმელად, მაშინ, როდესაც, თქვენ გახსოვთ, მოლაპარაკების დასაწყისში დავით ბაქრაძე აცხადებდა, რომ ისინი თვისობრივი ცვლილებების გარეშე, რა თქმა უნდა, არ წარმოიდგენდნენ, რომ რა პროცესიც მიდიოდა, ისე დამთავრდებოდა. ამიტომაც ჩვენ გადავწყვიტეთ, ჩვენი ხედვა აბსოლუტურად მიწოდებული გვაქვს, ყველა საკითხი, მათ შორის სამართლებული საკითხი ჩვენი მხრიდან პასუხგაცემულია და ხელისუფლებამ ახლა უნდა გადადგას თვისობრივი ნაბიჯები. სხვაგვარად ჩვენ იმის მომიზეზებით, რომ მათ მინისტრები ჰყავთ დაბარებული, შემდეგ ექნებათ სხვა მიზეზი, რომ კუბლაშვილი წავიდა იაპონიაში, შემდეგ იქნება მიზეზი, რომ მინაშვილი სააკაშვილთან უმრავლესობის შეხვედრაზეა და ... ეს მიზეზები არ არის დამაკმაყოფილებელი, ის პასუხები, რის გამოც ისინი საარჩევნო გარემოს ცვლილებაზე უარს ამბობენ, ჩვენთვის არის სრულიად მიუღებელი და ჩვენ ველოდებით, რომ მათი მხრიდან გადმოდგმული იქნას ქმედითი და სერიოზული ნაბიჯები. ეს არის რვა პარტიის ურყევი პოზიცია და მიგვაჩნია, რომ რვა პარტიის საქმიანობა არ გადაიქცევა პოლიტიკურ პროცესად ამ სიტყვის მთლიანი გაგებით, მანამ ხელისუფლება ნაბიჯს არ გადმოდგამს.

***— ამაში რას გულისხმობთ?***

— იმას ვგულისხმობ, რომ მხოლოდ მოლაპარაკების მაგიდასთან არ უნდა იმართებოდეს საუბარი საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. ამაში უნდა ჩაერთოს საზოგადოება, უნდა ჩაერთოს ხალხი, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ ეს არ არის მხოლოდ ჩვენი და რვა პარტიის საზრუნავი, რომ საარჩევნო გარემო იქნას შეცვლილი. ეს არის მთელი საზოგადოების ამოცანა და აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ უკვე პოლიტიკური კამპანია უნდა დავიწყოთ იმისათვის, რათა მივაღწიოთ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას.

***— ბატონო ზვიად, საზოგადოების ჩართვაში აქციებიც ხომ არ იგულისხმება?***

— საზოგადოების ჩართვაში იგულისხმება ყველაფერი, ხელმოწერებიდან დაწყებული და აქციებით დამთავრებული. ვინაიდან ამ რვა პარტიაში ზოგი უფრო რადიკალია, ზოგიც უფრო ზომიერია, ამიტომ ჩვენ როცა მივიღებთ შეჯერებულ გადაწყვეტილებას, ამის შესახებ, რა თქმა უნდა, ჩვენ ვაცნობებთ უკვე საზოგადოებას. იმიტომ, რომ საზოგადოების უკან არ ვაპირებთ არაფრის გაკეთებას. ეს პროცესი არის თავიდან ბოლომდე გამართული პროცესი და ამ პროცესს შეუძლია ძალიან დიდი და სერიოზული გამოხმაურება ჰპოვოს საქართველოს მოსახლეობაში.



***— ხელისუფლებას დროის გაყვანის ტაქტიკა აქვს არჩეულიო და როდემდე გაგრძელდება ასე? ამის შესახებ თავიდანვე საუბრობდნენ, რომ ხელისუფლება უბრალოდ დროს გაწელავდა...***

— დიახ, ჩვენთვის რაიმე მოულოდნელი არ ყოფილა, ამას მინდა ხაზი გავუსვა, ჩვენ ვიცოდით, რომ ხელისუფლება სადღაც გაჭედავდა, რომ მას უკვე აღარ ექნებოდა არგუმენტირებული პასუხი და დაიწყებდა ეშმაკობებს. დაახლოებით იმას ჰგავს ეს, რომ ჭადრაკს ეთამაშებოდე მოწინააღმდეგეს და ჯერ საათი მოგპაროს, შემდეგ ფიგურების მოპარვა დაიწყოს, დაახლოებით ასეთი არის მისი ქმედებები. შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ ხელისუფლება არის წვრილმანი ხულიგნობით დაკავებული, მაშინ, როდესაც მან კონკრეტული, სერიოზული პასუხი უნდა გასცეს იმ კითხვებს, რომელსაც რვა პარტია უკვე ხუთ თვეზე მეტი ხნის განვავლობაში სვამს. აი, ესაა საქმე, ამიტომაც ჩვენ ვამბობთ, რომ კარგით, თქვენ გინდათ ასე, მაშინ ჩვენ დავიწყებთ უკვე ჩვენი ქმედებების განხორციელებას. რვა პარტიას, რომელიც მოლაპარაკების მაგიდასთან ზის, საარჩევნო ელექტორალური შედეგებით თუ გადავხედავთ, ძალიან შთამბეჭდავი ციფრი აქვს ჯამური. ასე რომ, ისე არ არის, რომ ამ რვა პარტიას მხარდამჭერი არა ჰყავს საქართველოში. სერიოზული მხარდამჭერები გვყავს, ამიტომაც ამ მხარდამჭერებთან წავალთ და მათთან ერთად მივიღებთ გადაწყვეტილებას, როგორ უნდა მოვიქცეთ.

***— თუ გაქვთ გარკვეული ვადა ხელისუფლებისთვის მიცემული, რადგან რადიკალური ოპოზიციის ნაწილისგან მოვისმინე შეფასებები — შესაძლოა არჩევნებამდე სწორედ ორი-სამი თვით ადრე უთხრან, მოდით, გავაგრძელოთ დიალოგი და უნდა დაუჯდეს ოპოზიციაო? ამ შემთხვევაში რას აპირებთ?***

— ეს იცით როგორი ამბავია, ძალიან ჰიპოთეტურია, ორი თვით ადრე იტყვიან, ექვსი თვით ადრე თუ ცხრა თვით ადრე იტყვიან, მე ვერ გეტყვით, მე ერთი ვიცი, როდესაც ჩვენ უკვე ჩავთვალეთ, პარტიებმა, რომლებიც სამართლებრივ დუელში ვიყავით ხელისუფლებასთან შესული, რომ მეტის წაყრუება აღარ იქნებოდა მართალი და ვთქვით, რომ ჩვენ მეტს აღარ მოვალთ, თუ თქვენ არ მოიტანთ რაღაც კონკრეტულ დამაკმაყოფილებელ პასუხს იმ კითხვებთან დაკავშირებით, რაც ჩვენ დავსვით. ჩვენ გავდივართ ხალხში და ვიწყებთ კამპანიას. ეს არის ზოგადად რისი თქმაც შემიძლია. კამპანია როგორი ფორმის იქნება, რა ინტესივობის, როგორი დატვირთვები ექნება და რა მიმართულება, ამას უკვე მსვლელობისას ნახავთ.

***— თქვენ თვლით, რომ მოლაპარაკებები ჩიხშია შესული?***

— ხელისუფლებას პასუხი არა აქვს, ხელისუფლებამ გაჭედა, მან ვერ უზრუნველყო კვალიფიციური და სერიოზული პასუხები ვერც ერთ იმ კითხვაზე, რომელიც ჩვენ დავსვით და ჩვენ კი ძალიან მარტივი კითხვები დავსვით. ჩვენ დავსვით კითხვა, რომ თუ ამომრჩეველმა უნდა მისცეს ერთი ხმა და ამის საწინააღმდეგო რა გაქვთ, ხელისუფლებამ წარმოადგინა, რომ თურმე ამის საწინააღმდეგო ჰქონიათ, რომ 200 მილიონი დაჯდება, თუ ბიომეტრიული მონაცემებით იქნება სია შედგენილი. პირველსავე კვირაში დავუდასტურეთ, რომ ეს იყო ყალბი მონაცემები და მისი მესამედიც კი ძალიან გაბერილი ციფრია, ამდენი ნამდვილად არ იყო საჭირო და ეს საერთაშორისო არბიტრებს დავანახეთ. მეორე კითხვა იყო, რომ ყაზბეგის რაიონში, სადაც სამი ათასი ამომრჩეველია და ქუთაისში სადაც ასი ათასი ამომრჩეველია, არ შეიძლება იყოს თითო მაჟორიტარი წარმოდგენილი და ჩვენ შევთავაზეთ ამ პრობლემის გადაწყვეტის გზა, რომ სამართლიანი ყოფილიყო წარმომადგენლობა ყველა პარლამენტარისა პარლამენტში. ამიტომაც ამასთან დაკავშირებითაც მათ პასუხი ვერ გაგვცეს. იყო კიდევ ოთხი საკითხი, რაც შეეხება მედიას, რაც შეეხება ადმინისტრაციულ რესურს, ასევე გვქონდა სერიოზული საკითხები დასმული და პასუხის გაცემა ვერ მოახერხა ამაზე ხელისუფლებამ. ეს არ არის ჩვენი პრობლემა ვამბობთ, ჩვენთვის არ იყო მოულოდნელი, რომ ასე მოხდებოდა. როცა გვეკითხებოდნენ თავიდანვე, რომ თქვენ გჯერათ, რომ ხელისუფლება კეთილი ნების ნაბიჯს გადმოდგამსო, ჩვენვამბობდით: მივიყვანოთ საქმე იმ კონდენციამდე,

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# უზბეკეთის საგზაო ინსპექტორებმა შს მინისტრისგან ქრთამი აიღეს

უზბეკეთის საგზაო ინსპექტორებმა ავტოსაგზაო დარღვევისთვის შინაგან საქმეთა მინისტრისგან ქრთამი აიღეს.

უცხოური მედიასაშუალებების ცნობით, ტაშკენტიდან სამარყანდისკენ მიმავალი ავტომანქანა ავტოინსპექტორებმა გააჩერეს და სიჩქარის გადაჭარბებისთვის მძღოლს, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრი აღმოჩნდა და ინსპექტორებმა ვერ იცნეს, ქრთამი მოსთოვეს.

5000 სუმის (3 აშშ დოლარის ეკვივალენტი) გამო ორმა ინსპექტორმა, სამმა სხვადასხვა განყოფილების ხელმძღვანელმა და სამარყანდის რეგიონის საგზაო პოლიციის უფროსის მოადგილემ თანამდებობები დატოვეს.

**ინტერპრესნიუსი**

# ცხინვალი წყლის გარეშეა დარჩენილი

ცხინვალი წყლის გარეშეა დარჩენილი, - ამის შესახებ სააგენტო „რესი“ იუწყება.

ამის მიზეზი ჯავის რაიონში სოფელ ვანელთან „ედისი-ცხინვალის“ წყალსადენის დაზიანებაა. ცხინვალის დე-ფაქტო ადმინისტრაციის პრესმდივნის ვალენტინა ჯიოევას განცხადებით, ამ დროისთვის ცხინვალელებისთვის უმთავრესი პრობლემა სწორედ სასმელი წყლის არქონაა.

პრობლემის მოგვარებაზე დე-ფაქტო ადმინისტრაციაში დღეს გამართულ თათბირზე იმსჯელეს. აღინიშნა, რომ ჩასატარებალია საკმაოდ დიდი მოცულობის სამუშაო და ავარიის აღმოსაფხვრელად ორი დღე-ღამეა საჭირო.

„ედისი-ცხინვალის“ წყალსადენი 26 მარტს დაზიანდა.

**ინტერპრესნიუსი**

# „ქართული პარტია“ რუსეთთან ნორმალურ ურთიერთობებს აღადგენს

„ქართული პარტია“ რუსეთთან ნორმალურ ურთიერთობებს აღადგენს, — ამის შესახებ, პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა ეროსი კიწმარიშვილმა ხარაგაულში,



„ქართული პარტიის“ რაიონული ორგანიზაციის დამფუძნებელ კონფერენციაზე განაცხადა.

— მთელ ევროპაში ყველაზე დიდ თანხას რუსი ტურისტები ხარჯავენ. ჩვენ დღეს რუსეთთან მიმავალი გზა მოვიჭერით. “ქართული პარტია“ რუსეთთან ნორმალურ ურთიერთობებს აღადგენს, — აღნიშნა მან.

ეროსი კიწმარიშვილის განცხადებით, “ქართული პარტიის“ ლიდერებს ბევრი საქმე აქვთ გაკეთებული და მეორე პლანზე აქვთ გადაწეული საკუთარი კეთილდღეობა.

— ჩვენ ამ რეჟიმს მალე დავამთავრებთ. დავამთავრებთ იმ რეჟიმს, რომელიც საკუთარი ნების წინააღმდეგ წასვლას გვაიძულებს,— დასძინა მან.

**ინტერპრესნიუსი**

# ებრაელი ბიზნესმენების განაჩენი ოთხშაბათს გამოცხადდება

საქართველოში დაკავებული ებრაელი ბიზნესმენების რონი ფუქსის და ზეევ ფრენკელის სასამართლო პროცესი ოთხშაბათს განახლდება. მოსამართლე ბიზნესმენების განაჩენს სწორედ ოთხშაბათს გამოაცხადებს.

როგორც „მედიანიუსს“ თბილისის საქალაქო სასამართლოს პრესსამსახურში განუცხადეს, დღევანდელ პროცესზე ბიზნესმენების ადვოკატმა და პროკურორმა მცირე რეპლიკა წარმოთქვეს. პროცესზე სიტყვით თავად დაკავებულებიც გამოვიდნენ.

შეგახსენებთ, რომ ებრაელი ბიზნესმენები რონი ფუქსი და ზეევ ფრენკელი შარშან 15 ოქტომბერს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილისთვის 7 მილიონის დოლარის ქრთამის მიცემის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

როგორც ბრალდების მხარე აცხადებს, ქრთამს ბიზნესმენები იმის სანაცვლოდ იხდიდნენ, რომ საქართველოს მთავრობას არ გაესაჩივრებინა საერთაშორისო არბიტრაჟის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით, საქართველოს მთავრობას ებრაელი ბიზნესმენების სასარგებლოდ 100 მილიონი ლარის გადახდა დაეკისრა.

საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქართველოს ხელისუფლებამ ფუქსისა და ფრენკელის კომპანიებს საქართველოში ნავთობის მოპოვების ლიცენზია უკანონოდ შეუწყვიტა.

**მედიანიუსი**

# პაემნის დროს მსჯავრდებული სტუმართან ბანქოს თამაშს ვერ შეძლებს

ნანა მიშელაშვილი

**ხანგრძლივი პაემნისას მსჯავრდებული და მისი სტუმარი, ფოტოების გადაღებას და ბანქოს თამაშს ვერ შეძლებენ. ხანგრძლივი პაემნისას მსჯავრდებულს და მის სტუმარს ფოტოაპარატების და ვიდეოკამერების გამოყენება აეკრძალებათ.**

რაც შეეხება დასაშვებ საგნებს და ნივთიერებებს, მსჯავრდებულს უფლება აქვს ხანგრძლივი პაემნის უფლებით სარგებლობის დროს კანონიერად გამოიყენოს ან შეიძინოს მაღაზიაში შემდეგი ნივთები და პროდუქტები: თამბაქო და ასანთი, ტანსაცმელი, ქუდი, ფეხსაცმელი და საწოლის ნივთები, წინდები, კოლგოტკები, ხელთათმანები, ოთახის ფლოსტები, მოსასხამები, პირსახოცები, ტუალეტის ნივთები, მარლა, ჰიგიენური პაკეტები, თმის სამაგრები, ბამბა, შამპუნი, სარკე, არაძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული ჯვრები და საკულტო საგნები, ჭურჭელი, ლიტერატურა, წამლები ექიმის ნებართვით და მეთვალყურეობით.

ხანგრძლივი პაემნისთვის 60 ლარის გადახდა არაუგვიანეს პაემნის წინა სამუშაო დღეს უნდა მოხდეს.

ერთი ხანგრძლივი პაემნის საფასურის ოდენობა განისაზღვრება 60 ლარით, საფასურის გადახდა კი უნდა მოხდეს არა უგვიანეს დანიშნული პაემნის წინა სამუშაო დღეს. მართალია ოპოზიციონერ დეპუტატთა ნაწილი ამ თანხის შემცირებას მოითხოვდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ერთი ხანგრძლივი პაემნის საფასური 60 ლარით განისაზღვრა.

იმ შემთხვევაში, თუ ხანგრძლივი პაემნის საფასურის გადახდის შემდეგ, პაემნის ჩატარებამდე მსჯავრდებულს დაეკისრება დისციპლინური ან ადმინისტრაციული სახდელი, ან პატიმარი გადაყვანილი იქნება საკარანტინო რეჟიმში, მას ხანგრძლივი პაემანი აღარ მიეცემა, ხოლო გადახდილი თანხა, უნაღდო ანგარიშსწორებით დაუბრუნდება იმ პირს, ვინც ის გადაიხადა.

მსჯავრდებულს შეიძლება მიეცეს ხანგრძლივი პაემანი მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე შვილთან, ნაშვილებთან, მეუღლესთან, მშობელთან, მშვილებელთან, დასთან და ძმასთან.

კიდევ ერთი, მსჯავრდებულთან ხანგრძლივი პაემნის შეწყვეტა ნებისმიერ დროს იქნება შესაძლებელი. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანების თანახმად, ხანგრძლივი პაემანი შეიძლება შეწყდეს ნებისმიერ დროს, მსჯავრდებულის ან მისი სტუმრის მოთხოვნით.

ასევე, ადმინისტრაციას უფლება აქვს, შეწყვიტოს პაემანი მსჯავრდებულის ან სტუმრის მოთხოვნით, ან თუ მსჯავრდებულსა და სტუმარს შორის წარმოიშვა კონფლიქტი, რომელიც ხელს უშლის პაემნის მიზნის შესრულებას.

პაემანი შეწყდება მაშინაც, თუ მისი განხორციელება საფრთხეს უქმნის მსჯავრდებულის ან სტუმრის უსაფრთხოებას. ხანგრძლივი პაემნის შეწყვეტისას ადმინისტრაციის თანამშრომელი ადგენს ოქმს.

ხანგრძლივი პაემნები ძალაში ამ წლის 1 მარტიდან შევიდა.

# ნატო საქართველოში პოლიტიკურ რეფორმებს მოითხოვს

გერა მამულაშვილი

ნატოს საქართველოში დემოკრატიის განვითარება განსაკუთრებით აინტერესებს. დასავლელი ექსპერტების აზრით, ალიანსში გაწევრიანების საკითხში, თბილისი პესიმიზმს არ უნდა მიეცეს. თუმცა ისინი აღნიშნავენ, რომ სამხედრო და უსაფრთხოების სისტემის გარდა, რეფორმების პოლიტიკურ შემადგენელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ამაზე იყო საუბარი ნატოს საპარლამენტო ასამბლეის 76-ე სემინარზე, რომელიც თბილისში გაიმართა.

— ნატოში მისწრაფებით საქართველოს არა იმდენად თავის დაცვა სურს, რამდენადაც საკუთარი ადგილის მოძებნა მსოფლიო რუკაზე და უსაფრთხოების სისტემის შექმნა, — თვლის პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე.

სემინარზე საგარეო საფრთხეებზე საუბრისას ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა გიორგი თარგამაძემ განაცხადა, რომ საქართველო რუსეთის მხრიდან სამხედრო შემოჭრის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს, თუ ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმები არ დაიწყება.

შეგახსენებთ, რომ ნატოს სემინარი — „კავკასია გლობალურ ჭრილში: საქართველოს პერსპექტივები და საერთაშორისო ფსონები" — საქართველოში 23-26 მარტს ჩატარდა. მონაწილეებმა სემინარზე განიხილეს შემდეგი საჭირბოროტო საკითხები: სიტუაცია რეგიონში, ქართულ-რუსული კონფლიქტი, საქართველოს ინტეგრაციის პერსპექტივები ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში, დემოკრატიის განვითარება საქართველოში, მასმედიის როლი სამოქალაქო საზოგადოებაში და სხვა საკითხები. სემინარზე ასევე ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები გამოვიდნენ.

„საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხში პესიმიზმს ადგილი არ უნდა ჰქონდეს".

სემინარი ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა კარლ ლამერსმა და პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ გახსნეს. ბაქრაძემ განაცხადა, რომ ნატოში ინტეგრაცია არა მარტო საქართველოს მთავრობის, არამედ ქართული საზოგადოების მისწრაფებაა.

— ჩვენ მხოლოდ თავდაცვის საშუალებას არ ვეძებთ. ამით ჩვენ გვსურს ვიპოვოთ ჩვენი ადგილი მსოფლიო რუკაზე, შევქმნათ უსაფრთხოების სისტემა, — ხაზს უსვამს ბაქრაძე.

როგორ სემინარზე მოხსენებით გამოსული, ჯეიმსთაუნის ფონდის უფროსი თანამშრომელი ვლადიმერ სოკორი აცხადებს, ნატო ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანებით დაინტერესებული უნდა იყოს.

— ნატომ თავისი პირდაპირი მეზობლების უსაფრთხოება უნდა უზრუნველყოს. ნავთობსადენებმა, რომლებიც ენერგომატარებლებს ევროპას აწვდიან, უსაფრთხოების რეჟიმში უნდა იმუშაონ, — აღნიშნავს ვლადიმირ სოკორი.

მისივე თქმით, მოცემული მომენტისთვის შავი ზღვის რეგიონში „უსაფრთხოების ვაკუუმი" არსებობს.

— ეს 2008 წლამდეც ნათელი იყო, მაგრამ სიტუაცია 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ კიდევ უფრო დრამატული გახდა, — ხაზს უსვამს ვლადიმირ სოკორი.

კითხვაზე, არის თუ არა მზად საქართველო ნატოში შესასვლელად, სოკორმა უპასუხა, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკური საკითხია.

— საქართველო უკვე ზედიზედ სამი წლის მანძილზე ყოველწლიურ ნაციონალურ პროგრამას ასრულებს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მისი სამხედრო შემადგენელი დამაკმაყოფილებლად იქნა შეფასებული, — აღნიშნა სოკორმა.

მისი თქმით, არსებობს ასევე საკითხის პოლიტიკური შემადგენელი, რომელიც თავის თავში მოიცავს სახელმწიფოს დემოკრატიზაციას, კორუფციასთან ბრძოლას, სასამართლო სისტემის გამჭვირვალობას.

— მართალია, პოლიტიკური შემადგენლის შეფასების ხასიათი ჩემთვის უცნობია, — დიპლომატიურად შენიშნავს ექსპერტი.

სოკორი ხაზს უსვამს, რომ ნატო-საქართველოს კომისია აფასებს ქვეყნის პროგრესის შესაბამისობას ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მოთხოვნებთან.

— მაგრამ, ჩემი აზრით, საქართველოს მიმართ წაყენებული მოთხოვნები რამდენადმე გამკაცრებულია. ნატომ ამასწინათ ალიანსის წევრებად მიიწვია მაკედონია და ალბანეთი, თუმცა როგორც პოლიტიკურ, ისე სამხედრო პლანში ეს ქვეყნები საქართველოზე სუსტები არიან. ეს არ ნიშნავს, რომ ნატო არ აპირებს საქართველოს მიღებას ალიანსში, უბრალოდ, ნატო გარკვეულ სიფრთხილეს იჩენს, — დარწმუნებულია ექსპერტი.

ამავე დროს, ვლადიმირ სოკორმა აღნიშნა, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხში პესიმიზმს ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

— მაკედონია და ალბანეთი ზედიზედ 7-8 წელი ყოველწლიურ ნაციონალურ პროგრამას ასრულებდნენ, ხოლო საქართველო მხოლოდ სამი წელია ადგას ამ გზას, — აღნიშნავს სოკორი.

საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ბათუ ქუთელია აცხადებს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ნატოს სემინარი საქართველოში ტარდება.

— ელჩები საქართველოში მიმდინარე პროცესებს ეცნობიან და ამას თავიანთი ქვეყნის ხელმძღვანელობამდე მიიტანენ, იმას, რასაც საკუთარი თვალით ნახავენ. პრინციპული არ არის, რამდენ დროს დაიკავებს საქართველოს მომზადება, ნატოს სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსასვლელად, თითოეული შემფასებელი კომისია ხომ პროგრესს აღნიშნავს, — აღნიშნავს ქუთელია.

სემინარზე ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ლიდერი გიორგი თარგამაძე საგულისხმო განცხადებით გამოვიდა. მან ქვეყანაში დემოკრატიული გარდაქმნების აუცილებლობას ხაზი გაუსვა.

— ორი ქართული რადიკალური ოპოზიციური პარტია საუბრობს რევოლუციისთვის მზადებაზე და არაუგვიანეს ამა წლის ზაფხულისთვის ვადებსაც ასახელებენ. მთავრობამ უნდა დაიწყოს დემოკრატიული რეფორმები, ანდა შესაძლოა ხელისუფლების უზურპაცია მოხდეს. მოსახლეობის პროტესტმა შეიძლება აგრესიამდე და სააკაშვილის რეჟიმის დელეგიტიმიზაციამდე მიგვიყვანოს, — აცხადებს გიორგი თარგამაძე.

მისი აზრით, მოვლენების ასეთი სცენარით განვითარების შემთხვევაში შედეგები შესაძლოა კატასტროფული იყოს.



— თუ ეს მოხდება, რუსეთმა შეიძლება სიტუაციის დარეგულირებაზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღოს და საქართველოში ლიბიის სცენარი განვითარდება, — აღნიშნავს ოპოზიციის ლიდერი.

— თუ საქართველოში დაიწყება დემონსტრაციები და პოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზაცია მოხდება, ეს შეიძლება გახდეს რუსეთისთვის მიზეზი სამხედრო შემოჭრისთვის. თუ კადაფის რეჟიმი კოალიციის ძალებმა უნდა დაასრულონ, საქართველოში იმავეს თავის თავზე რუსეთი აიღებს, რომელიც იტყვის, რომ ის ქართველ ხალხს ხელისუფლების შეცვლაში ეხმარება. ამით რუსეთი დასავლეთთან რევანშს აიღებს იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რომლებიც ლიბიაში მიმდინარეობს, — აცხადებს გიორგი თარგამაძე.

მისივე აზრით, რუსეთის მხრიდან შემოჭრის თავიდან ასაცილებლად საქართველოს ხელისუფლებამ ოპოზიციასთან დიალოგში მოქნილობა უნდა გამოიჩინოს და საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლაში დათმობებზე უნდა წავიდეს.

— ხელისუფლებამ ადეკვატური ნაბიჯები უნდა გადადგას და ოპოზიციასთან საარჩევნო გარემოს შეცვლის თვალსაზრისით დათმობაზე უნდა წავიდეს. იმისთვის, რომ მომავალი არჩევნები მაღალ დონეზე ჩატარდეს, — აცხადებს თარგამაძე.

თარგამაძემ აღნიშნა, რომ ნაციონალური უსაფრთხოების ახალ კონცეფციაში აღნიშნულია, რომ დემოკრატიის სუსტი განვითარება — ეს საფრთხეა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის.

— მთავრობამ თავისი დანაპირები უნდა შეასრულოს. ჩვენ, ყველანი ერთად წინ უნდა წავიდეთ, ანდა ჩვენ, ყველანი (ქართველები) უფსკრულში გადავიჩეხებით, — აღნიშნავს თარგამაძე.

თარგამაძე თვლის, რომ 2012 წელი საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გამოცდა იქნება.

— ხალხმა თავად უნდა გადაწყვიტოს, ვინ იქნება პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი, — ხაზს უსვამს ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი.

„ტრადიციონალისტთა კავშირის" ლიდერი აკაკი ასათიანი თარგამაძის მოსაზრებას იზიარებს იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში არადემოკრატიული არჩევნების ჩატარება, მის საქმეებში რუსეთის ჩარევის საფრთხეს შეიცავს.

— ლიბიის მოვლენები ჩვენზე ორმაგად აისახება: ერთი მხრივ, მერამდენეჯერ სახელმწიფოს მართვაში ტოტალიტარული მეთოდების მიუღებლობა დემონსტრირდება. დასავლეთი მართალია იმაში, რომ როდესაც ლიდერი ისე იქცევა, როგორც კადაფი, დანარჩენი მსოფლიოსთვის ამის ყურება რაღაც არაეთიკურია. ანუ, როდესაც ადამიანი აცხადებს, რომ სროლას დაიწყებს, თუ ხალხს ის არ სურს, ეს მიუღებელია, — აცხადებს ასათიანი.

— მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენ გვაქვს პუტინის განცხადება იმის შესახებ, რომ კოალიციის მოქმედება ნებისმიერ სახელმწიფოს უფლებას აძლევს თავს დაესხას სხვა სახელმწიფოს. უკვე არის კოსოვოს მაგალითი, როდესაც ყველანი ამბობდნენ, რომ მხარის მიერ დამოუკიდებლობის მიღების პრობლემა, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის პრობლემას არ შეეხება. პუტინი კი აფრთხილებდა, რომ პასუხად ასევე შეუძლია რაღაცის ცნობა, — აღნიშნავს ასათიანი.

ის თვლის, რომ საუკეთესო დაცვა საგარეო საფრთხისგან — დემოკრატიაა.

— სიხისტის გამოჩენით, კომპრომისზე წასვლის სურვილის არქონით, საქართველოს ხელისუფალნი ირიბად საკუთარ არალეგიტიმურობაზე მიანიშნებენ. თავად განსაჯეთ: ერთიანი ნაციონალური მოძრაობის განცხადებებით, პარტიას მოსახლეობის 66 პროცენტი მხარს უჭერს. ასეთი რეიტინგით მათ არაფრის უნდა ეშინოდეთ: ისინი ნებისმიერ არჩევნებს მოიგებენ. სახელისუფლებო პარტია დაეჭვების უფლებას იძლევა, რომ სინამდვილეში მოსახლეობის ასეთი დიდი რაოდენობა მას მხარს უჭერს და რომ არჩევნების შედეგები ხალხის ნების გამოვლენის რეალურ სურათს ასახავს, — ამბობს აკაკი ასათიანი.

ასათიანი თვლის, რომ სწორედ ამან შეიძლება მისცეს რუსეთს საფუძველი საქართველოს ტერიტორიაზე შემოსაჭრელად.

— და ეს შეიძლება მოხდეს მოტივით, რომ რუსეთი თითქოსდა ეხმარება ქართველ ხალხს სააკაშვილის წინააღმდეგ საბრძოლველად. ჩვენ ყველა ზომებით მოვლენების ასეთი განვითარების თავიდან აცილება გვსურს, — აღნიშნავს აკაკი ასათიანი.

ევროინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრ გიორგი ბარამიძის განცხადებით, ნატო საქართველოსგან მოითხოვს არა მარტო თავდაცვის და უსაფრთხოების სფეროების რეფორმირებას, არამედ დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას, ეკონომიკურ განვითარებას, ფინანსური სისტემის გაუმჯობესებას, სასამართლო სისტემის რეფორმირებას, ბიზნესების, განათლების განვითარებას, საზოგადოების დაცვას, საიდუმლო ინფორმაციის გაცვლის გაუმჯობესებას.

# ხელისუფლებამ გაჭედა

დასაწყისი მე-6 გვერდზე

სადაც ხელისუფლება გვეტყვის, რომ ის არაფრისთვის მზად არ არის და ამის შემდეგ უკვე ჩვენი ჯერი იქნება გადავდგათ ნაბიჯები. დიახ, ახლა ჩვენი ჯერია გადავდგათ ნაბიჯი და ჩვენ ამ ნაბიჯს გადავდგამთ უკვე პოლიტიკური კამპანიის დაწყების კუთხით.

***— თუ არის იმის შანსი, რომ პროცესებმა ქუჩაში გადაინაცვლოს და იგივე რვიანმა ქუჩიდან დაიწყოს საზოგადოებასთან ერთად აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილება?***

— კიდევ ერთხელ ვიტყვი, ხელის მოწერებიდან დაწყებული და ქუჩის აქციებით დამთავრებული, დიაპაზონი მოქმედებისა არის ძალიან ფართე, ყველა ქმედება არის კონსტიტუციის ფარგლებში, მაგრამ რვა პარტია, როდესაც შეთანხმდება უკვე კონკრეტული მოქმედების გეგმაზე, ამ გეგმის მიხედვით დაიწყებს მოქმედებას და რა თქმა უნდა, თქვენ ამის შესახებ აუცილებლად იქნებით საქმის კურსში და თქვენი გაზეთის მკითხველებიც.

***— ასევე მნიშვნელოვანი იყო რვიანისთვის დასავლეთის პოზიცია, რომ მას დაენახა ხელისუფლების ნამდვილი სახე, რამდენად შეძელით ამ სახის დანახება და ამ შემთხვევაში როგორი იქნება მათი პოზიცია?***

— შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენ შევძელით ამის მიღწევა 100%-ით. დასავლეთი და დიპლომატიური კორპუსი იმის დიპლომატიური კორპუსია, რომ ისინი ღიად და რაღაცა დარტყმის ფორმით ხელისუფლების მიმართ განცხადებებს არ გააკეთებენ და არც რაიმე ქმედებას ჩაიდენენ; მაგრამ მათ ნახეს, რომ ჩვენ ყველა ღონე ვცადეთ, მუდმივად ვიყავით ჩართული სამართლებრივი კუთხით ამ პროცესში და სხვა რაღაც გამწვავავება, რაღაც დესტრუქცია ჩვენი მხრიდან არ ყოფილა არცერთხელ ამ პერიოდში, ეს ნახეს მათ და ისიც ნახეს, რომ ხელისუფლება მუდმივად ეშმაკობდა, როდესაც ჩვენს პრეზენტაციებზე არ ამბობდნენ თავიანთ ვარიანტს, არც თავისი პრეზენტაციები არ წარმოუდგენიათ და ბოლოს რაც მოიტანეს პასუხი, ის მოიტანეს, რომ თურმე პატიმრებსაც უნდა მიაცემინონ ხმა. დღეს ოცი ათასზე მეტი პატიმარია საქართველოში და არჩევნების წინ ამ ლოგიკის მიხედვით მოსახლეობას უნდა სჯეროდეს, რომ 40 ათასზე მეტი იქნება, კიდევ უფრო მეტ ადამიანს დააპატიმრებენ, რათა გარანტირებული ხმები მიიღონ. ეს იყო მათი პასუხი, ერთ-ერთი ასეთი პასუხი, რომელიც მათგან მივიღეთ და ეს პასუხი ჩვენი უცხოელი კოლეგებისთვისაც იყო სრულიად მოულოდნელი, ისინი არ ელოდნენ, რომ ხელისუფლება ასე თავხედურად და ურცხვად იტყოდა ყველა იმ თემის სერიოზულ განხილვაზე უარს, რომელიც ჩვენ მათ შევთავაზეთ.

***— მოვისმინე ასეთი შეფასებები, რომ განაწყენებული რვიანი გაზაფხულზე დაწყებულ საპროტესტო აქციებს აუცილებლად შეუერთდებაო...***

— ერთს მინდა ხაზი გავუსვა და თქვენი გაზეთის მკითხველმა იცოდეს, არავითარი განაწყენებულები ჩვენ არა ვართ. ის რაც მოხდა ჩვენთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ჩვენ ვიცოდით, რომ ერთ მშვენიერ დღეს ხელისუფლება იტყოდა, რომ ჩვენ პასუხი არა გვაქვს არაფერზე და იმასაც არ გამოვრიცხავ, რომ ენდიაის ფორმატში მოლაპარაკებების დროს წამოხტნენ და გაიქცნენ მაგიდიდან.

თუმცა კიდევ ერთხელ ვამბობ, ეს სფერო, სამართლებრივი სფერო, საარჩევნო გარემო, საკანონმდებლო დახვეწის მიმართულება, ხელისუფლებისთვის იყო მისი მოედანი და აქ ოპოზიცია არ თამაშობდა, ან თუ თამაშობდა, ძალიან სუსტად. ახლა ჩვენ დღეს ეს მოედანი ხელისუფლებას წავართვით და ვაცხადებთ, რომ აქაც, დიახ, ჩვენ დავდებთ ძალიან კვალიფიციურ და სერიოზულ შეხედულებებს, თუ როგორ უნდა ვითარდებოდეს საკანონმდებლო და საარჩევნო თვალსაზრისით პროცესები ქვეყანაში. ჩვენ ეს მოედანი დავისაკუთრეთ უკვე და თუკი ახლა მოწინააღმდეგე მოედნიდან გაიქცევა და შემდეგ არტილერიას დაგვიშენს გადატანითი მნიშვნელობით, სადღაც შორიდან და ამით უნდა შეინარჩუნოს არსებული მდგომარეობა, ესეც მინდა გითხრათ, რომ პოლიტიკური კრახია მიმდინარე პროცესებში ხელისუფლებისათვის. ამიტომ ჩვენ ამ პოლიტიკურ დამარცხებებს ხელისუფლებას არ მოვაკლებთ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში.

***— თქვენ ღიად აცხადებთ, რომ მარცხი განიცადა ხელისუფლებამ და არა რვიანმა...***

— რვიანმა რა მარცხი განიცადა, ყველა საკითხთან დაკავშირებით დავდეთ კვალიფიციური პროექტები, ყველა საკითხთან დაკავშირებით მოთმინებით ვითხოვდით ხელისუფლებისგან რამდენიმე თვის განმავლობაში პასუხს. ამ რამდენიმე თვის განმავლობაში არა თუ პასუხი, არამედ კონკრეტული საკითხის გადაწყვეტა რამდენჯერმე შეიძლებოდა. ჩვენ ვერავინ ვერ დაგვწამებს, რომ ულტიმატუმით ან თამაშის წესების შეცვლით, ან ჭადრაკის მაგიდის აყირავებით რაღაცა პროცესს ხელი შევუშალეთ. არა, ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ ისე, როგორც ამ პროცესის ფორმატში იყო გათვალისწინებული და ხელისუფლება ვერ ჩაჯდა ამ ფორმატში. ამიტომ, რა თქმა უნდა, ხელისუფლება დამარცხდა. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ რადგან დამარცხდა, სირცხვილის გამო გაიქცევიან სააკაშვილი და ბაქრაძე, გამოვლენ და იტყვიან, გადავდექით, რადგან საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ვერ ვაჩვენეთ კვალიფიციური შედეგებიო. ამის მოლოდინი არც ჩვენ გვქონდა, არც თქვენ და არც საზოგადოებას. ჩვენ გვქონდა იმის მოლოდინი, რომ მთელი საერთაშორისო საზოგადოების წინაშე ხელისუფლება ჩაიჭრებოდა სერიოზულად და სწორედ ასეც მოხდა.

# ჩუმლაყის მაცხოვრებელს მგლებმა ეზოში სახედარი შეუჭამეს

გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის მაცხოვრებლები მგლებისგან დასაცავად მონადირეთა ჯგუფის შექმნას ითხოვენ. მტაცებლებმა გუშინ ღამით ვალიკო ბაზერაშვილის სახლის ეზოში სახედარი შეჭამეს. დაზარალებულის თქმით, ბოლო ერთი თვის განმავლობაში სოფელს მგლები მეოთხედ შეესივნენ, — ანობეს „მედიანიუსს" კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან.

— შიშით ღამე ქუჩაში ველარ გამოვსულვართ. გამგეობას ვთხოვთ, რომ მონადირეთა ჯგუფი შეიქმნას და მორიგეობა დაწესდეს, — აღნიშნავს დაზარალებული.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის შოთა უტიაშვილის განცხადებით, მონადირეთა ჯგუფის შექმნის მოთხოვნით ჩუმლაყის მაცხოვრებლებს გამგეობისთვის არ მიუმართავთ.

— მონადირეთა შემთხვევაში მზად ვართ დავეხმაროთ, ეს იქნება ტყვია-წამლით თუ ფინანსურად. ყველანაირად ვეცდებით, რომ მოსახლეობას ხელი შევუწყოთ და მგლებისგან დავიცვათ, — აღნიშნა გამგებელმა.

მედიანიუსი

# გიორგი ლიფონავამ ჭამა და სექსი გადაიღო

ეკა ირემაშვილი

ქართველმა რეჟისორმა გიორგი ლიფონავამ უკვე დაასრულა ახალი სრულმეტრაჟიანი ფილმის გადაღება, რომელსაც „ჭამა და სექსი" ეწოდება. ფილმი ფორმულა „კრეატივის" პროდუქტია და იგი საქართველოს კინოთეატრებში პირველი აპრილიდან გამოჩნდება.

სცენარი ახალი ქართული ფილმისთვის მიშა მშვილდაძემ, ირაკლი სალინაძემ და ქეთი დევდარიანმა დაწერეს. დამდგმელი ოპერატორი გელა ჩინჩალაძეა. ფილმი ჟანრობრივად ტრაგიკომედიაა. მასში მონაწილეობენ ვანიკო თარხნიშვილი, ნელი აგირბა, დიმა ტატიშვილი, გია ცინაძე, თემიკო ჭიჭინაძე, ეკა ამირეჯიბი, ანი ტყებუჩავა, ლევან ყოჩიაშვილი, სალომე კოკუაშვილი, ნიკა წერედიანი, სოფო სებისკვერაძე, შორენა ბეგაშვილი, გიორგი ყველაშვილი, პალიკო ნოზაძე, ეკა ქართველიშვილი, გიორგი ვარდოსანიძე, ქეთი ჩაჩუა, თიკო ბედიანაშვილი, ქეთი კანთიძე, თამთა ცხვიტავა და სტეფანე მღებრიშვილი.

როგორც ავტორები აღნიშნავენ, ფილმი შედგება 6 ნოველისგან, რომლებიც ეხება ყველაზე მთავარ ადამიანურ ინსტინქტებს — ჭამას და სექსს. ყველა ნოველა დაფუძნებულია ნამდვილ ამბავზე, სრულიად ახალი კუთხით ასახავს თანამედროვე ქართულ ყოფით რეალობას და ძალიან ღრმა და ამავდროულად თბილი, თუმცა, უკომპრომისო იუმორით ახასიათებს ქართული ოჯახებისა და შეყვარებული წყვილების ურთიერთობებს. ფილმში შემავალი ნოველები შემოქმედებითმა ჯგუფმა ერთ თვეში გადაიღო.

ფილმში გაერთიანებული ნოველების მოკლე შინაარსი კი ასეთია:

ლევანი და მაკა გადადიან საცხოვრებლად მაკას მშობლებთან, რომელთაც ვერ წარმოუდგენიათ, რომ ახალგაზრდა წყვილს სიყვარული და მოფერება შესაძლოა სპონტანურად, დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოუნდეთ და რა მათი ბრალია, თუკი ოჯახს სადილად ლობიო აქვს, მწნილს კი აივანზე ინახავენ, სადაც ვერ აღმოჩნდები, თუ ლევანის და მაკას საძინებელი ოთახი არ გაიარე.



ნოდიკოს და სალომეს პირველი ღამე აქვთ ქორწილის შემდეგ ფეშენებელური სასტუმროს ძვირადღირებულ ნომერში — ამ დღეს ისინი დიდხანს ელოდნენ, თუმცა, ყველაფერი ისე არ წარიმართება, როგორც მათ წარმოედგინათ, რადგან მეგობრის რჩევა სტრესის მოსახსნელად ნოდოს გაუთვალისწინებლად უმწეო მდგომარეობაში ჩააგდებს, სალომე კი ბრაზდება და თვრება.

სამი მეგობარი გენო, დათა და კირპიჩა დათას ბიძის გასვენების შემდეგ წყნეთის აგარაკზე მსუბუქი ყოფაქცევის ქალებთან ერთად ადიან გასართობად და სტრესის მოსახსნელად. თან მიაქვთ ქელეხიდან გამოტანებული საჭმელ-სასმელი, გენო კი ცოლის გაკეთებულ სოკოს წაიღებს, მაგრამ მთავარი კითხვა ასეთია — მოწმდება თუ არა ლაბორატორიულად ყოველდღე სასმელი წყლის ქიმიური შემადგენლობა.

გიგა და ნათია სამი წელია ცოლ-ქმარი არიან, მაგრამ ჯერ შვილი არ ჰყავთ, ნათია მარხვაზეა, გიგაც, თუმცა, ნათია არაა დარწმუნებული, რომ გიგას სამსახურში ყოფნისას სული არ წასძლევს, გარშემო ხომ ამდენი ცდუნებაა — გიგას ახალი სიმპათიური უფროსი, გემრიელი საჭმელები. ქმრის შთაგონების წყაროდ დარჩენა აუცილებელი ხდება, მაგრამ თავშეკავებაც ხომ ნებისყოფიანი ადამიანის თვისებაა.

ლიკა ზაზას ახალგაზრდა და ლამაზი ცოლია. ზაზა მასზე ძალიან ბევრს ეჭვიანობს. ის კარგი სამსახურის შემოთავაზებას იღებს საფრანგეთიდან — მაღალი ხელფასი და ორწლიანი კონტრაქტი. თუმცა, ცოლს თან ვერ წაიყვანს, სურს, რომ მათი შვილი, პატარა ალექსანდრე ქართულ სკოლაში შევიდეს და აქ აღიზარდოს. ლიკა აღმოაჩენს, რომ ეჭვიან ქმარს დედამთილიც ჰყავს ჩართული ცოლზე თვალთვალში, ყველაფერს კი ერთვება ძალიან უცნაური მოთხოვნა, რომელსაც ზაზა გამგზავრების წინ ცოლს წაუყენებს. რას იზამს ლიკა? — არადა, ეს ექიმიც ძალიან თამამი და სიმპათიურია.

შემოქმედებითი ჯგუფი არ მალავს, რომ „ჭამა და სექსი" 2011 წლის ყველაზე სასაცილო და ხარისხიანი ქართული კომედიაა, აუტოფსიქოთერაპიის საათ-ნახევარი ჩვენს კინოთეატრებში — თვითირონია ადამიანის ყველაზე მნიშვნელოვანი თავდაცვის ინსტინქტია, ჭამა და სექსი კი ყველაზე არქეტიპული ადამიანური საქმიანობა.

გიორგი ლიფონავას მაყურებელი კარგად იცნობს, როგორც მხატვრული ფილმების, მუსიკალური კლიპებისა თუ სერიალების რეჟისორს. მისი ნამუშევრებია „რაც ყველაზე ძალიან გიყვარს", „რაც ყველაზე ძალიან გიყვარს 2", ტელესერიალები „კლინიკა", „ჩვენი ოფისი", „ნაფიცი მსაჯული", „ბიჭები და გოგოები", „ჩიფსების თაობა", „აქ ცხოვრობენ გუნცაძეები", მუსიკალური კლიპი „ჩვენ ერთი გუნდი ვართ" და მუსიკალური ვიდეო „დერვიშები" სიმღერაზე „სულიკო".

კინომოყვარულები გიორგი ლიფონავას ახალ ნამუშევარს „ჭამა და სექსი" უკვე ადარებენ რეჟისორ ჯიმ ჯარმუშის ფილმს „ყავა და სიგარეტები", რომელიც ასევე შედგება ნოველებისგან და ერთმანეთთან კავშირი არ აქვთ, თუმცა, მათ ორი რამ — ყავა და სიგარეტები აერთიანებთ.

# ბოლივუდი საქართველოში ორ ფილმს გადაიღებს

ბოლივუდი საქართველოში ორ ფილმს გადაიღებს, გადასაღები პროცესები კი ჩვენს ქვეყანაში მაისის თვიდან დაიწყება. ამის შესახებ ჟურნალისტებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ვერა ქობალიამ განუცხადა.

საქართველოს მთავრობასა და ბოლივუდს შორის ხელშეკრულება უახლოეს მომავალში გაფორმდება და ინდოელი პროდიუსერები ფილმების გადაღებას საქართველოში დაიწყებენ. როგორც საინვესტიციო სააგენტოს დირექტორმა ქეთი ბოჭორიშვილმა განაცხადა, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მაისიდან, ბოლივუდი ფილმების გადაღებას დაიწყებს. საწყის ეტაპზე საუბარია ორი ინდური ფილმის გადაღებაზე.

— ბოლივუდთან უკვე მიმდინარეობს სცენარის დაზუსტება და როგორც კი სცენარი საბოლოო სახეს მიიღებს, მოხდება ფილმის ბიუჯეტის დათვლა, ლოკაციები შეირჩევა, ხელშეკრულება გაფორმდება, მაისიდან კი გადაღებებიც დაიწყება, — განაცხადა ქეთი ბოჭორიშვილმა.

ბოლივუდელი პროდიუსერები საქართველოს იანვარში სტუმრობდნენ. როგორც ეკონომიკის მინისტრმა ვერა ქობალიამ განაცხადა, ბოლო პერიოდში ბოლივუდისთვის საზღვარგარეთის ქვეყნებში ფილმების გადაღება პრიორიტეტული გახდა. მთელ საქართველოში ორკვირიანი მოგზაურობის შემდეგ, ბოლივუდის წარმომადგენლები კმაყოფილები დარჩნენ და საქართველოში ორი ფილმის გადაღება დაგეგმეს. ინდოელები საქართველოში ძირითადად ტრილერებისა და ექშენების გადაღებას გეგმავენ და სათანადო სცენარებიც უკვე არსებობს. შეთანხმების საფუძველზე, ბოლივუდი საქართველოში იმავე საგადასახადო რეჟიმით ისარგებლებს, როგორც სხვა ნებისმიერი უცხოელი ინვესტორი. სამაგიეროდ, ქართულმა მხარემ ბოლივუდის წარმომადგენლებს ინფრასტრუქტურის მხრივ მაქსიმალური დახმარება შესთავაზა.

ეკა ირემაშვილი

# ირაკლი ფარჯიანის ნამუშევრები წინანდალში გამოფინეს

ეკა ირემაშვილი

ცნობილი ქართველი მხატვრის ირაკლი ფარჯიანის ნამუშევრები წინანდალში ჭავჭავაძეების სახლ-მუზეუმში გამოფინეს. მხატვრის 60 წლის იუბილე უკვე აღნიშნეს თბილისში და შარდენზე მდებარე ბაია გალერეაში დამთვალიერებლისთვის მისი აქამდე უცნობი ტილოები წარმოადგინეს.

როგორც ირკვევა, ირაკლი ფარჯიანის იუბილეს კიდევ არაერთი ღონისძიების აღნიშნავენ. ფიროსმანის პრემიის ლაურეატი მხატვრის შემოქმედება არც ერთ დამთვალიერებელს არ ტოვებს გულგრილს. მხატვრობისადმი თავისი მომავლის დაკავშირებმა მხატვარმა მაშინ გადაწყვიტა, როცა მისმა უფროსმა ძმებმა სამხატვრო აკადემიაში ჩაბაარეს. სამხატვრო აკადემიაში სწავლისას ჩამოყალიბდა მისი მხატვრული სტილიც.

ირაკლი ფარჯიანის საყვარელი ჟანრი იყო მინიატურა, რელიგიური თემატიკა, ხოლო მისი ბერლინის ციკლი გამოირჩევა მასშტაბურობითა და ახალი ფერებით. გასული საუკუნის 80-იან წლებში კი, ის თვითონ დაიწყო მისთვის სასურველი პასტელის ფერების დამზადება და ამით საფუძველი ჩაუყარა მხატვრობაში ფარჯიანისეულ ხელწერას. მისი საყვარელი თემა იყო „ხარება", რომელიც მხატვარს სხვადასხვა მასალით აქვს შესრულებული. ირაკლის ხელითაა გადაწერილი და დასურათებული იოანეს, მარკოზისა და ლუკას სახარება.

სრულიად ახალგაზრდას შეურყია ჯანმრთელობა „ძლიერმა სენმა", ზეთის საღებავებით ხატვა მისთვის აღარ შეიძლებოდა, მაგრამ არჩევანის წინაშე არც დაუყენებია საკუთარი თავი, არც ავადმყოფობას უწევდა ანგარიშს და ჩვეულ რეჟიმში მუშაობას განაგრძობდა. ირაკლი ფარჯიანი 41 წლის ასაკში გარდაიცვალა.

წინანდლის მუზეუმში ირაკლი ფარჯიანის ნამუშევრების ექსპოზიციაზე სახარების თემაზე შექმნილი ნახატები იყო გამოფენილი. მხატვრის ნამუშევრების დასათვალიერებლად წინანდალში ბევრი დაინტერესებული ადამიანი თბილისიდანაც ჩავიდა. გამოფენას თბილისის მერი გიგი უგულავაც დაესწრო.

# ეროვნულ არქივში ფილმის გადაღებები დაიწყო

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში ახალი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის „უმრი ატამშონიმ" გადაღებები „აზერბაიჯან ფილმმა" დაიწყო.

გადაღებები კინოსტუდია „ქართული ფილმის" მონაწილეობით მიმდინარეობს. ფილმში მოქმედება აზერბაიჯანში, საქართველოსა და გერმანიაში ხდება და 1941 წელს საქართველოდან და აზერბაიჯანიდან გერმანელების შუა აზიაში გადასახლების მოვლენებს ასახავს. გადაღებები უკვე დასრულდა სვანეთში, სადაც, სცენარის მიხედვით, აზერბაიჯანიდან საქართველოში ჩამოსული გერმანელი ცხოვრობდა. მისი შთამომავალი კი წინაპრის კვალს საქართველოს ეროვნულ არქივში ეძებს, სადაც მას არქივის თანამშრომლები დახმარებას გაუწევენ საჭირო ინფორმაციის მოძიებაში.

ფილმის რეჟისორი და სცენარის ავტორი ეროვნული და საერთაშორისო კინოფესტივალების ლაურეატი აზერბაიჯანის სახალხო არტისტი პროფესორი ოქტაი მირ-კასიმია. საქართველოს მხრიდან ფილმის პროდიუსერი ანდრეი ლოგვინოვია, მეორე რეჟისორი — ელისო ჭანტურიაა, დამდგმელი მხატვარი — ვაჟა ჯალაღანია, კოსტიუმების მხატვარი — ნატო კანდელაკი, ტექნიკური უზრუნველყოფა კი ბადრი ხეფრაშვილს ეკუთვნის. მხატვრულ ფილმში ქართველი, აზერბაიჯანელი და გერმანელი მსახიობები მონაწილეობენ.

ეკა ირემაშვილი

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ზუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი".

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## ნუ გვანაგვიანებთ — პროტესტი უხარისხო ტელეშოუებს

სოციალური ქსელის „ფეისბუქის" ქართველმა მომხმარებლებმა გადაწყვიტეს ქართულ ტელესივრცეში მომრავლებული უხარისხო ტელეშოუებისთვის პროტესტი ორიგინალურად გამოეცხადებინათ. დამოუკიდებელი საინიციატივო ჯგუფის მიერ აქცია-პერფორმანსი მომზადდა სახელწოდებით „პროტესტი უხარისხო ტელე-შოუებს".

საკუთარი პროტესტი აქციის ორგანიზატორებმა რუსთაველის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე გამართეს. როგორც მისმა ორგანიზატორებმა „ახალ თაობას" განუცხადეს, ღონისძიების ორგანიზების იდეა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ქართული ტრადიციული მედია სივრცის კრიტიკა დიდი ხანია აქტუალურია სოციალურ ქსელებში, ბლოგებსა და ზოგადად ვირტუალურ სივრცეში. თუმცა, კრიტიკას ძირითადად ერთი და იგივე აუდიტორია ეცნობა. ამიტომ, რამდენიმე ადამიანის კერძო ინიციატივით დაიგეგმა აქცია, რომლის მიზანია განსხვავებული, ორიგინალური ფორმით, უფრო ფართო აუდიტორიის წინაშე დააფიქსიროს პროტესტი ქართულ ტელე-მედია სივრცეში არსებული უხარისხო გადაცემებისადმი. ასევე აჩვენოს ტრადიციულ მედია საშუალებებს, რომ საზოგადოებას აქვს მოთხოვნილება უკეთეს ხარისხსა და პროდუქციაზე.

ღონისძიების მიზანი არ იყო რომელიმე კონკრეტული გადაცემის ფორმატის შეცვლა ან დახურვა, არამედ ადამიანის უფლებებსა და ინტერესების პატივისცემაზე დაფუძნებული უკეთესი ხარისხის სატელევიზიო პროდუქციის წარმოების მოთხოვნა.

აქციის ფორმატით პერფორმანსში გამოყენებული იყო ძველი ტელევიზორი, სპეციალურად მომზადებული პოსტერები და სხვა საშუალებები, რომლის ფარგლებში დამსწრეებს საშუალება მიეცათ თავადაც მიეღოთ მონაწილეობა და დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი.

ეკა ირემაშვილი

## განცხადებები

● ბაგებში იყიდება მიწის ნაკვეთი 716 კვ.მ. შესანიშნავი ხედით, დამტკიცებული პროექტითა და მშენებლობის ნებართვით. მიყვანილია ყველა სახის კომუნიკაცია. ტელ: 899-49-02-67.

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: ალმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

# ნუკრი რევიშვილი: დაწყებული საქმე უნდა განვაგრძოთ

იყო დრო, როდესაც საქართველოს ნაკრების კართან მიახლოებისასაც კი სუნთქვა გვეკვროდა. გულშემატკივარი სულ იმის შიშში იყო, ჩვენი კარისკენ ნებისმიერი გასროლილი ბურთი ბადეში არ აღმოჩენილიყო. ახლა ნაკრებს მეკარის პრობლემა აღარ აქვს — ნუკრი რევიშვილი და გიორგი ლორია ბოლო მატჩებში ძალიან დამაჯერებლად გამოირჩევიან.

მეტიც, ხორვატებთან მატჩის შემდეგ თემურ ქეცბაიამ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ბოლო წუთამდე არ ვიცოდი კარში ვინ ჩამეყენებიაო. ის კი არა, მონეტის აგდებასაც ვაპირებდი რომელიმეს სასარგებლოდო. თუმცა, რევიშვილზე არჩევანი იმიტომ შევაჩერე, რომ მანამდე ყველა შესარჩევნო მატჩში ითამაშა და უფრო მეტი გამოცდილება აქვსო.

რევიშვილი ხორვატებთან მართლაც ჩინებულად გაისარჯა და თითქმის უშეცდომოდ ჩაატარა მთელი შეხვედრა. ნუკრის მიმდინარე ევროშესარჩევში 5 მატჩში მხოლოდ 2 გოლი აქვს გაშვებული. ამასთან, 3 მატჩში (ყველას საშინაო) გოლი არ გაუშვია.

***— ჯერ ის გვითხარით, რა გრძნობა გქონდათ თამაშის დარულების შემდეგ?***

— ენით ვერ აღვწერ. ეს იყო უდიდესი სიხარული და ემოცია, რაც ფეხბურთისგან მიმიღია. ასეთი აქამდე ნამდვილად არ მქონია... რაც მთავარია, წარმატებას მონატრებული გულშემატკივარი გავახარეთ. ხორვატიის ნაკრების დამარცხება გრანდებსაც უჭირთ.

***— ყველაზე მეტად რომელი ბურთის აღება გაგიჭირდა?***

— მე-2 ტაიმის შუაში, ნიკო კრანჩარმა რომ დამირტყა ახლო კუთხეში. დაბალი ტრაექტორიის ბურთი იყო, მიწიდან ასხლეტილი და კუთხურზე მოვიგერიე. ყველაზე ძნელი ეგ მომენტი იყო.

***— კობიაშვილის გოლის შემდეგ ხორვატები მასირებულ შეტევაზე გადმოვიდნენ. ბოლო წუთზე, პრანიჩის დარტყმული ბურთი ვერ შეიმაგრეთ და შემდეგ ფეხით კუთხურზე გადააგდეთ.***

— რომ გამეშვა, არ ვიცი, რა დამემართებოდა... ალბათ, ჩემს თავს არასდროს ვაპატიებდი. ზუსტად ასეთი სიტუაცია ერთხელ მქონდა რუსეთის პრემიერლიგაში თამაშისას, გამივარდა ბურთი და ხელმეორედ ვცადე დაჭერა, მაგრამ თავდამსხმელმა დამასწრო და გაიტანა. იმ დროს, როცა პრანიჩის დარტყმული გამივარდა, წამის მეასედებში სწორედ ის გაშვებული გამახსენდა, ამიტომაც, ბურთის დაჭერა არ გავრისკე და კუთხურზე ფეხით გადავაგდე.

***— მეტოქე გუნდის ფეხბურთელებიდან ყველაზე სახიფათო ვინ იყო?***

— მათი კაპიტანი, დარიო სრნა ძალიან აქტიური იყო, დაცვიდან შეტევაზე უცებ გადმოდიოდა, ბევრს დარბოდა და სახიფათოდ აწოდებდა. ლუკა მოდრიჩსა და კალინიჩსაც გამოვყოფდი. თუმცა, მადლობა ჩვენს მცველებს — წარმოუდგენლად კარგად ითამაშეს.

***— არადა, ჩანდა, რომ თითქოს ფრეზეც თანახმა იყავით. სანამ გოლი გავიდოდა, ბურთის მომწოდებელ ბავშვებს ანიშნებდით, არ ეჩქარათ.***

— იყო ასეთი მომენტიც. ხორვატია ბევრს გვიტევდა და ბიჭებს ამოსუნთქვის საშუალება სჭირდებოდათ. ყველა ხედავდა, უპირატესობა ხორვატებისა იყო და სხვაგვარად ვერც ვითამაშებდით. ძლიერი მეტოქე იყო, ნახევარდაცვაში სულ შემქმნელები ჰყავდა და შეტევაზე რომ წავსულიყავით, შესაძლოა, ცუდად დამთავრებულიყო ყველაფერი. ანუ, თამაში ისე მიმდინარეობდა, ფრეზე თანახმა ვიყავით, მაგრამ საბედნიეროდ, ბოლოს გოლი გავიტანეთ და მოვიგეთ. ღმერთმა გადმოგვხედა და მონდომება დაგვიფასდა.



***— წინ ისრაელთან მატჩია. რას ფიქრობთ მომავალ მატჩზე?***

— ვფიქრობ, ახლა უკვე ქულაც რომ ავიღოთ, კარგი შედეგი იქნება. მაინც გასვლითი მატჩია. თუმცა, რა თქმა უნდა, მოგებასაც შევეცდებით.

***— რამდენად იქნება დაღლილობის მომენტი? 3 დღეში თამაში მაინც რთულია.***

— კარგი იქნებოდა, 4-დღიანი ინტერვალი ყოფილიყო. ისრაელსაც თამაში ჰქონდა და მათთვისაც ცოტა რთული იქნება. ეგაა, ჩვენ უფრო მძიმე მატჩი გვქონდა. ამასთან, ჩვენ მგზავრობაც გვიწევს. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, კარგი განწყობით მივდივართ, დაწყებული საქმე უნდა განვაგრძოთ.

## ახალი კლუბის წარმატებული დებიუტი

ქართულ სარაგბო სივრცეში ახალი კლუბი გამოჩნდა — „არმია“. გასულ წელს ეს გუნდი გორის სახელით გამოდიოდა, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდთან იყო შეერთებული და გორის თსულომები ერქვა.

ამ გუნდმა შარშან პირველი ლიგა მოიგო და უმაღლეს ლიგაში აღზევდა. წელს კი გუნდის სპონსორობა თავდაცვის სამინისტრომ ითავა და სახელიც „არმიად“ გადაუკეთდა. ახალმა გუნდმა კი პირველივე ტურნირში გამოიჩინა თავი. არმიელებმა შვიდკაცა რაგბის პირველი ეტაპი მოიგეს.

სხვათა შორის, „არმია“ მიმდინარე სეზონს სერიოზული შევსებით შეხვდა. გუნდში არიან ეროვნული გუნდის წევრები — ჯაბა ბრეგვაძე, ირაკლი ნატრიაშვილი და ბიძინა სამხარაძე.

საკუთარი ამბიცია „არმიამ“ როგორც უკვე გითხარით, წლის პირველივე შეჯიბრში დაამტკიცა.

არმიელების მთავარი კონკურენტი, შარშანდელი გათამაშების ფინალისტი ქუთაისის „აია“ იყო. ფინალი მართლაც ფინალის დარი გამოდგა — 2 ათწუთიანი ტაიმის შემდეგ, ფრე 14:14. გუნდებმა ორ-ორი ლელო-გარდასახვა გაიტანეს და საქმე დამატებით დრომდე მივიდა. გამძლეობაში „არმიამ“ იმძლავრა, გადამწყვეტი ლელო გაიტანა და პირველი ეტაპის გამარჯვებული გახდა, მაგრამ ქვეყნის ჩემპიონობამდე ჯერ კიდევ შორია. ზაფხულში 7-კაცა რაგბის მე-2 ეტაპი გაიმართება, რის შემდეგაც, წლის ჯამში 10 საუკეთესო მოშვიდკაცე გუნდი გაირკვევა და ქვეყნის ჩემპიონის ტიტულს ამა წლის ნოემბერში გაითამაშებენ.

**ა ჯგუფი**

ყოჩები-ლოკომოტივი ........ 14:22
ბაგრატი-ლოკომოტივი ........ 5:35
ყოჩები-ბაგრატი ........ 17:26

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლოკომოტივი | 2 | 2 | 0 | 0 | 57:19 | 4 |
| 2.ყოჩები | 2 | 1 | 0 | 1 | 31:52 | 2 |
| 3.ბაგრატი | 2 | 0 | 0 | 2 | 31:48 | 0 |

**ბ ჯგუფი**

აია-ლელო ........ 35:5
ხულიგანა-დევები ........ 14:0
აია-დევები ........ 31:0
ხულიგანა-ლელო ........ 5:0
ლელო-დევები ........ 45:7
აია-ხულიგანა ........ 34:12

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.აია | 3 | 3 | 0 | 0 | 100:17 | 6 |
| 2.ხულიგანა | 3 | 2 | 0 | 1 | 31:34 | 4 |
| 3.ლელო | 3 | 1 | 0 | 2 | 50:47 | 2 |
| 4.დევები | 3 | 0 | 0 | 3 | 7:90 | 0 |

**გ ჯგუფი**

კოლხირაინდები-თიბისი 5:17
ბათუმი-თიბისი 28:0
ბათუმი-კოლხირაინდები 59:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბათუმი | 2 | 2 | 0 | 0 | 87:0 | 4 |
| 2.თიბისი | 2 | 1 | 0 | 1 | 17:33 | 2 |
| 3.კოლხი რაინდები | 2 | 0 | 0 | | 25:76 | 0 |

**დ ჯგუფი**

აკადემია-არმია ........ 0:19
ხარები-არწივები ........ 54:0
აკადემია-არწივები ........ 47:0
ხარები-არმია ........ 7:12
არმია-არწივები ........ 48:0
აკადემია-ხარები ........ 28:7

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არმია | 3 | 3 | 0 | 0 | 79:7 | 6 |
| 2.აკადემია | 3 | 2 | 0 | 1 | 75:26 | 4 |
| 3.ხარები | 3 | 1 | 0 | 2 | 68:40 | 2 |
| 4.არწივები | 3 | 0 | 0 | 3 | 0:149 | 0 |

**XII ადგილისთვის (ფარი)**

არწივები-დევები ........ 0:10

**IX ადგილისთვის (ფიალა)**

ლელო-ხარები ........ 5:12

**V ადგილისთვის (სინი)**

ხულიგანა-ბათუმი ........ 7:26

**ფინალი**

არმია-აია ........ 19:14

(დ.დ.)

## ბუფონი და დელ პიერო ტურინში რჩებიან





ტურინის „იუვენტუსს“ ახლა კარგი დროება ნამდვილად არ უდგას. მუდამ ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდი ცნობილი კალჩოპოლოს შემდეგ დაღმასვლას განიცდის და ევროტურნირებზე მოხვედრისთვის მძიმე ბრძოლები გადააქვს.

რამდენიმე დღის წინ გულშემატკივრებმა მთავარი მწვრთნელის გადაყენება რომ მოითხოვეს, კლუბის ხელმძღვანელობამ ლუიჯი დელ ნერის 3-თამაშიანი ვადა მისცა, თუმცა კლუბის მესვეურები ჯერჯერობით ისევ დუმილს ამჯობინებენ.

სამაგიეროდ, ხშირად ისმის საუბრები იმის შესახებ, რომ ჯანლუიჯი ბუფონი გადაბარგდება ევროპული ფეხბურთის გრანდში, ალესანდრო დელ პიერო კი კარიერის დასასრულებლად ან ამერიკაში გაემგზავრება, ან არაბეთის რომელიმე ქვეყანაში. ამ ყველაფერთან დაკავშირებით, კლუბის სპორტულ დირექტორ ჯუზეპე მაროტას თავისი აზრი აქვს:

— გუნდში ნამდვილად მოხდება გარკვეული ცვლილებები, მაგრამ არა ისეთი რევოლუციური, როგორც ამაზე ხშირად საუბრობენ. ამას წინათ დაიწერა, „იუვედან“ ალესანდრო დელ პიეროს და ჯანლუიჯი ბუფონს უშვებენო, რაც სრული აბსურდია. ალექსი და ჯიჯი გუნდის სიმბოლოები არიან და მათი შენარჩუნება ძალიან მნიშვნელოვანია. მათით არაერთი გუნდი იჩენს ინტერესს და შემოთავაზებებიც გვაქვს, მაგრამ ჩვენი პოზიცია ურყევია: ჯიჯი და ალე არ იყიდებიან. რაც შეეხება სხვა ფეხბურთელებს, უმჯობესია სეზონის დასრულების შემდეგ ვისაუბროთ, რადგან დღეს რაიმე საინტერესოს თქმა გამიჭირდება, — განაცხადა მაროტამ.

მიუხედავად მაროტას სიტყვებისა, რევოლუციურ ცვლილებებს არ უნდა ელოდოთო, აშკარაა, რომ ტურინიდან არაერთ ფეხბურთელს მოუწევს აბარგება. მან მხოლოდ დელ პიეროს და ბუფონს მისცა გუნდში დარჩენის გარანტიები, დანარჩენი კი კითხვის ნიშნის ქვეშ დატოვა... თუმცა, როდესაც გარანტიებზე ვსაუბრობთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ შესაძლოა თავად ბუფონს გაუჩნდეს სხვაგან წასვლის სურვილი და გადადგას კიდეც ეს ნაბიჯი. მთავარი წამსვლელი კი მაინც ლუიჯი დელ ნერი გახლავთ, რომელიც სავარაუდოდ სეზონის დასრულებისთანავე დატოვებს თანამდებობას.

## იუპ დერვალის მესამედ მისვლა

რამდენიმე დღის წინ გადაწყვეტილი ამბავი გუშინ ოფიციალურად დადასტურდა: მომავალ სეზონში „ბაიერნს“ იუპ ჰაინკესი უთავკაცებს.

მოგეხსენებათ, „დონ იუპი“ „ლევერკუზენის“ დამრიგებელია, მაგრამ „ფარმაცევტებთან“ ახალ კონტრაქტს არ აფორმებს და ამის მიზეზი ის არის, რომ მიუნხენში დაუძახეს.

რეკორდმაისტერის მენეჯერ ული ჰიონესის თქმით, ჰაინკესი „ბაიერნთან“ ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს და გუნდს 2013 წლის 30 ივნისამდე ჩაიბარებს.

შეგახსენებთ, რომ ჰაინკესი „ბაიერნს“ სათავეში მესამედ ჩაუდგება. იუპი მიუნხენურ კლუბს პირველად 1987-დან 1991 წლამდე წვრთნიდა, მეორედ კი 2009 წლის აპრილიდან ივნისამდე.

— „ბაიერნის“ მთავარი მწვრთნელობა ჩემთვის უდიდესი პატივია. რეკორდმაისტერს უკვე ორჯერ ვწვრთნიდი და მიუნხენურ კლუბში მუშაობით ორივეჯერ უდიდესი სიამოვნება მივიღე. მას მერე, „ბაიერნის“ ხელმძღვანელებთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს და სწორედ ამიტომ, მესამედ მუშაობასაც უდიდესი სიამოვნებით დავთანხმდი. ცხადია, ვიცი, რომ ვალდებული ვარ, ამ ორი წლის განმავლობაში ტიტულები მოვიგო და ჩემთვის ეს უდიდესი გამოწვევაა, — განაცხადა ჰაინკენსმა.

— როცა გაირკვა, რომ ლუის ვან გაალი ზაფხულში დაგვტოვებდა, ჰაინკესი იყო პირველი მწვრთნელი, ვისი გვარიც თავში მომივიდა. მიხარია, რომ თანამშრომლობაზე ამჯერადაც დაგვთანხმდა. დარწმუნებული ვარ, რომ „ბაიერნი“ ჰაინკესთან ერთად არაერთ ტიტულს მოიგებს, — ეს სიტყვები კი ბავარიული კლუბის ვიცე-პრეზიდენტ კარლ-ჰაინც რუმენიგეს ეკუთვნის.

## 17-წლამდელებმა ელიტა დაივიწყეს

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ევროჩემპიონატის ელიტ-რაუნდის მეორე ჯგუფური მატჩიც წააგო და ელიტაზე ფიქრს დაემშვიდობა. პირველ მატჩში საფრანგეთის ნაკრებთან განცდილი მარცხის (0:2) შემდეგ, კობა ჟორჟიკაშვილის გაწვრთნილი გუნდი ამჯერად ბელორუსებთან დამარცხდნენ — 0:1.

ეს მარცხი იმითაც იყო გასაკვირი, რომ კობა ჟორჟიკაშვილის გუნდმა ბელარუს თანატოლებს შარშან პალანგას თასზე 5:1 მოუგო, მაგრამ როგორც ჩანს, ამ დროის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა.

ქართველებმა ერთადერთი გოლი 23-ე წუთზე გაუშვეს პაველ სავიცკისგან და მისი გაქვითვა ველარ მოახერხეს.

ქართველები ჯგუფის ბოლო მატჩს, 30 მარტს ნორვეგიასთან გამართავენ, თუმცა, ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსი აღარ აქვთ.

### ბელარუსი — საქართველო 1:9 (1:9

1:0 სავიცკი (23)

**ბელარუსი:** ფრანცკევიჩი, შაცლუსკი, ფომინი (ზილი 70), სავიცკი, კოზლოვსკი, ბელიავსკი (მილიაჩენკო 80), კომაროვი (რასადკინი 54), ზატენკო, კარპოვიჩი, ლუკიანჩუკი, დუგელი,

**საქართველო:** თებიძე, მთივლიშვილი, ცნობილაძე, ჭილვარია, მონიავა, გოგიჩაიშვილი (ექვთიმიშვილი 51), ჰუფნაგელი, ენდელაძე, სამუშია, ტარყაშვილი (მარკოზაშვილი 41), ფანცულაია (ზივზივაძე 41).

ჯგუფის მეორე შეხვედრაში საფრანგეთმა და ნორვეგიამ ფრედ, 2:2 ითამაშეს. ეს ანგარიში კი, სკანდინაველებს ხელს აძლევდათ და ისინი უფრო ახლოს არიან პირველ ადგილზე გასვლასთან.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნორვეგია | 2 | 1 | 1 | 0 | 7:3 | 4 |
| 2.საფრანგეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| 3.ბელარუსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:5 | 3 |
| 4.საქართველო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

## შედეგები

### ფეხბურთი

**ამხანაგური მატჩი**

ბრაზილია-შოტლანდია ........ 2:0

**აფრიკის ერთა თასი**

მადაგასკარი-გვინეა ........ 1:1
მოზამბიკი-ზამბია ........ 0:2
დრ კონგო-მავრიკია ........ 3:0
კონგო-განა ........ 0:2
ნიგერი-სიერა ლეონე ........ 3:1
სუდანი-სვაზილენდი ........ 3:0
კოტ დივუარი-ბენინი ........ 2:1

**იტალია. სერია ბ**

ალბინოლეფე-ნოვარა ........ 3:1
ვარეზე-ვიჩენცა ........ 1:0
გროსეტო-ჩიტადელა ........ 1:1
კროტონე-ემპოლი ........ 3:2

*ემპოლის მეორე გოლი ლევან მჭედლიძემ გაიტანა*

მოდენა-პესკარა ........ 1:0
პიაჩენცა-პორტგრუარო ........ 1:2
სიენა-სასუოლო ........ 4:0
ტრიესტინა-ფროსინონე ........ 2:2
რეჯინა-ლივორნო ........ 1:1

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

სალამანკა-ვალიდოლიდი ........ 0:5
ელჩე-ტენერიფე ........ 1:0
ხერესი-გრანადა ........ 1:1
რაიო-ბეტისი ........ 1:0

**პორტუგალია. ა ლიგა**

ოლჰანენსე-ბრაგა ........ 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პორტუ | 24 | 22 | 2 | 0 | 56:8 | 68 |
| 2.ბენფიკა | 24 | 18 | 1 | 5 | 51:21 | 55 |
| 3.სპორტინგი | 24 | 10 | 8 | 6 | 33:25 | 38 |
| 4.ბრაგა | 24 | 11 | 4 | 9 | 39:29 | 37 |
| 5.ფერერია | 24 | 8 | 9 | 7 | 24:30 | 33 |
| 6.გიმარაეში | 24 | 9 | 6 | 9 | 27:31 | 33 |
| 7.ნაციონალი | 24 | 8 | 7 | 9 | 21:27 | 31 |
| 8.ლეირია | 24 | 8 | 6 | 10 | 19:27 | 30 |
| 9.ბეირა მარი | 24 | 6 | 11 | 7 | 28:28 | 29 |
| 10.მარიტიმუ | 24 | 7 | 7 | 10 | 28:25 | 28 |
| 11.ოლჰანენსე | 24 | 6 | 10 | 8 | 19:27 | 28 |
| 12.რიუ ავე | 24 | 7 | 6 | 11 | 22:27 | 27 |
| 13.აკადემიკა | 24 | 6 | 7 | 11 | 29:39 | 25 |
| 14.სეტუბალი | 24 | 5 | 9 | 10 | 20:33 | 24 |
| 15.პორტიმორ. | 24 | 4 | 7 | 13 | 23:40 | 19 |
| 16.ნავალი | 24 | 3 | 8 | 13 | 20:42 | 17 |

**პორტუგალია. თასი**

აკადემიკა-გიმარაეში ........ 0:0

**არგენტინა. კლაუსურა**

ველეზი-არსენალი ........ 3:0
კოლონი-ბოკა ........ 0:1

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

ფილადელფია-საკრამენტო 111:114(ოტ)
კლივლენდი-ატლანტა ........ 83:99
მაიამი-ჰიუსტონი ........ 125:119
მემფისი-სან ანტონიო ........ 111:104
მინესოტა-ბოსტონი ........ 82:85
ოკლაჰომა-პორტლენდი ........ 99:90
გოლდენ სტეიტი-ვაშინგტონი 114:104
ლეიკერსი-ნიუ ორლეანი ........ 102:84
ფინიქსი-დალასი ........ 83:91

### ჩოგბურთი

**ატპ. მაიამი. ჰარდი**

გასკე-ფიში ........ 4:6;3:6
ფერერი-დევ ვარმანი ........ 6:4;6:2
ლოდრა-გრანოლერსი ........ 5:7;6:3;5:7
ისნერი-ბოგომოლოვი ........ 6:2;7:6
სოდერლინგი-დელ პოტრო ........ 3:6;2:6
ტროიცკი-კიურეი ........ 7:6;3:6;7:5
ჯოკოვიჩი-ბლეიკი ........ 6:2;6:0

**ვტა. მაიამი. ჰარდი**

ივანოვიჩი-რაზანო ........ 2:6;6:2;6:0
რადვანსკა ა.-კირილენკო ........ 7:6;6:3
სკიავონე-დომინგეს ლინო ........ 6:4;7:6
ზვონარევა-გროტი ........ 7:6;6:2
კვიტოვა-პავლუჩენკოვა ........ 4:6;7:6;0:6
აზარენკო-ციბულკოვა ........ 3:6;6:3;6:4

### ჰოკეი.

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

პიტსბურგი-ფლორიდა ........ 1:1(1:0ბ)
ატლანტა-ოტავა ........ 4:4(1:0ბ)
კოლამბუსი-ვანკუვერი ........ 1:4
ფილადელფია-ბოსტონი ........ 1:2

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ანგელა მერკელის პარტია მორიგ არჩევნებში დამარცხდა

წინასწარი შედეგების თანახმად, ანგელა მერკელის პარტია, ქრისტიან დემოკრატიული კავშირი ბადენ ვიურტემბერგის ფედერალურ მხარეში გამართულ არჩევნებში დამარცხდა.

ქრისტიან დემოკრატებმა ამომრჩევლების ხმების 39% მოაგროვეს, მათმა მოკავშირეებმა, თავისუფალმა დემოკრატებმა მხოლოდ 5.3%, მაშინ როდესაც ოპონენტებმა, მწვანეთა პარტიამ და სოციალ-დემოკრატებმა კი შესაბამისად, 24.2 და 23.1% მოაგროვეს.

რჩევლებზე იაპონიის საშინელმა კადრებმა მოახდინეს ზეგავლენა.

გასული კვირის ბოლოს, შაბათს გერმანიაში გამართულ საპროტესტო აქციაში ბირთვული ენერგიის მოწინააღმდეგე ათეულ ათასობით მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა. ორგანიზატორების ვარაუდით, ეს აქცია ამ ტიპის ყველაზე ხალხმრავალი ღონისძიება იყო გერმანიაში.

არჩევნების წინ ანგელა მერკელი ვითარების განმუხტვას შეეცადა და გერმანიის




ამგვარად, მწვანეებმა გერმანიის სამხარეო არჩევნებში საუკეთესო შედეგი აჩვენეს. მწვანეთა პარტიის ლიდერმა ფრანც უნტერშტელერმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მსგავს შედეგზე ცოტა ხნის წინ ვერც კი იოცნებებდნენ და იგი ახდენილ ოცნებას წარმოადგენს.

როგორც ვარაუდობენ, ამ მნიშვნელოვან მხარეში, რომლის მოსახლეობაც 11 მილიონ ადამიანს შეადგენს და სადაც ქრისტიან დემოკრატები ხელისუფლების სათავეში 59 წლის განმავლობაში იმყოფებოდნენ, არჩევნების შედეგი კანცლერ ანგელა მერკელისათვის გამოცხადებულ უნდობლობის ვოტუმად შეიძლება იქნას მიჩნეული.

არჩევნების მთავარ პრობლემას ბირთვული ენერგეტიკა წარმოადგენდა, რაც მნიშვნელოვანწილად იაპონიის ფუკუსიმას ატომურ ელექტროსადგურში მიწისძვრისა და ცუნამის შედეგად გამოწვეული ავარიით იყო განპირობებული.

ბატენ ვიურტემბერგის მხარის ამჟამინდელი გუბერნატორი, ქრისტიან დემოკრატიული კავშირის წარმომადგენელი შტეფან მაპუსი ბირთვული ენერგეტიკის განვითარებას უჭერს მხარს. მისი თქმით, ამომბირთვული სადგურების რეაქტორების გახანგრძლივების საკითხის განხილვა სამი თვით გადადო. ამ რეაქტორეიდან ოთხი ბადენ-ვიურტემბერგის მხარეში მდებარეობს.

ცხარე დებატების საგნად იქცა აგრეთვე ქალაქ შტუტგარტის ცენტრში, ამჟამინდელი პარკის ადგილას მსხვილი სარკინიგზო კვანძის მშენებლობა.

აღსანიშნავია, რომ ქრისტიან დემოკრატებმა გასული წლის მაისში ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიაში, შარშანდელი წლის მაისში კი ჰამბურგში ასევე დამამცირებელი მარცხი იწვნიეს.

მწვანეთა პარტიამ კი ხმები კიდევ ერთ, რეინლანდ-პფალცის მხარეშიც გაისამმაგა, რაც იმას ნიშნავს, რომ სოციალ-დემოკრატები, რომლებმაც ხმების 35.7% მოაგროვეს, იძულებული იქნებიან მწვანეებთან კოალიცია შექმნან.

ქრისტიან დემოკრატებმა ამ მხარეში 35.3 ხმა მოიპოვეს, მოკავშირე თავისუფალმა დემოკრატებმა, რომლებსაც გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრყ გიდო ვესტერველე ხელმძღვანელობს, ხუთპროცენტიანი ბარიერი ვერ გადალახეს.

გ.თ.

# სუბელიანმა კიდევ ერთხელ მოიტყუა

**შორენა გონგლაძე**

გასული კვირა პარლამენტისათვის პოლიტიკურად განსაკუთრებით აქტიური იყო. ჩვენმა მინისტრებმა საპარლამენტო უმრავლესობა კარგად გაახალისეს, უმცირესობას კი პრეზიდენტის გამოსვლისას ისედაც მოშლილი ნერვები კიდევ ერთხელ მოუშალეს. მას შემდეგ, რაც მისმა უდიდებულესობა „პირველმა" უმცირესობა ოროსანი ბავშვივით კუთხეში მიაყენა და ლამის ლოგოპედის გამოძახებაც გახდა საჭირო, საპარლამენტო ოპოზიცია მინისტრებზე კონტრშეტევის განსახორციელებლად განსაკუთრებით მოემზადა. გამრავლების ტაბულა არა, მაგრამ მინისტრების მიერ შეჭმული მილიონები შეძლებისდაგვარად დაითვალეს. როგორც განვითარებულმა მოვლენებმა გვაჩვენა, მინისტრთა შორის ყველაზე დიდი „დამნაშავე" ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი კობა სუბელიანი აღმოჩნდა, შესაბამისად საპარლამენტო უმცირესობამ სიმბოლურად მისი გადადგომის საკითხიც დასვეს, სიმბოლურად იმიტომ, რომ იდეის ავტორებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ სუბელიანის არც მომხსნელი და არც პასუხისგებაში მისაცემი არავინ იყო, თუმცა ეს ისე, გამოსვლებისთვის უფრო მეტი ელფერი რომ მიეცათ.

ერთადერთი, რაც შეიძლება ითქვას, კობა სუბელიანის პარლამენტში გამოსვლა ოპოზიციის კრიტიკის საგანი გახდა, თუმცა, სუბელიანს ალბათ არ ეგონა, რომ პარლამენტში მის მიერ მოყოლილ ზღაპრებს გაგრძელება ექნებოდა. სუბელიანისეული ზღაპრების წარმომავლობისა და რეალობის გარკვევა „ქრისტიან-დე-




მოკრატებმა" საკუთარ თავზე აიღეს, ამისათვის კი გუშინ ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერებმა გიორგი ახვლედიანმა და მაგდა ანიკაშვილმა მუხიანში მცხოვრები ახალგორიდან დევნილი ბერიანიძეების ოჯახი მოინახულეს, ეს ის ბერიანიძეები არიან კობა სუბელიანმა თავის გამოსვლაში რომ მაგალითისათვის წაიტრაბახა, ამა და ამ ოჯახმა კუთვნილი 10 ათას დოლარიანი კომპენსაცია უკვე მიიღო და ქრისტიან-დემოკრატები ლაპარაკით თავს ტყუილად ნუ დაიღლიანო. სამწუხაროდ, ამ ტრაბახს მისი ავტორივით მოკლე ფეხები აღმოაჩნდა და გაირკვა, რომ სუბელიანმა ამჯერადაც იცრუა.

გიორგი ახვლედიანის თქმით, პარლამენტის წინაშე გამოსვლისას ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა კობა სუბელიანმა მოიტყუა, რომ ბერიანიძეების რვასულიანმა ოჯახმა 10 ათას დოლარიანი კომპენსაცია მიიღო, რაც ოჯახის წევრებმაც ქრისტიან-დემოკრატებთან შეხვედრისას დაადასტურეს.

— მაშინ, როდესაც კობა სუბელიანი პარლამენტის წინაშე გამოდიოდა და ამტკიცებდა, რომ დევნილი ოჯახების უმრავლესობა კომპენსაციით არის დაკმაყოფილებული, მე დავაყენე გივი ბერიანიძის რვასულიანი ოჯახის საკითხი. როგორც ბატონმა სუბელიანმა განაცხადა, ამ ოჯახს უკვე მიღებული ჰქონდა კომპენსაცია და აქეთ დამადანაშაულა სიცრუეში. მაგრამ როგორც ვხედავთ, ეს ადამიანიები დაკმაყოფილებული არ არიან, მათ ეუბნებიან, რომ მათ რვასულიან ოჯახს კიდევ ორი-სამი წევრი დაუმატონ და მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი ფინანსური კომპენსაციის საკითხი დაგეს, ეს ისეთი დანაშაულია, რომლის გამოც სუბელიანი მინისტრად აღარ უნდა მუშაობდეს, საერთოდაც, სუბელიანი ისეთ სამსახურში არ უნდა მუშაობდეს, სადაც ადამიანებთან ურთიერთობაა საჭირო, რადგან მას ამის უნარი არ აქვს, — განაცხადა ახვლედიანმა.

ოჯახის უფროსის, გივი ბერიანიძის განცხადებით, ხელისუფლებამ მათ კოტეჯში გადასვლა შესთავაზა, თუმცა, ოჯახის წევრთა სიმრავლის გამო ბერიანიძეებმა კოტეჯის სანაცვლოდ კომპენსაცია მოითხოვეს. კომპენსაციის მიღების შემთხვევაში კი ბერიანიძეების ოჯახი რომელიმე სოფელში აპირებდა სახლის ყიდვას, სადაც ყველა დაეტეოდა, მაგრამ როგორც ვხედავთ, ბერიანიძის ოჯახს დღემდე არც კომპენსაცია და არც სხვა რაიმე ფართის შეთავაზება არ მიუღია.

ის, რომ ვილაც დევნილებზე ზრუნავს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, მაგრამ ბატონი პრეზიდენტის და მისი ამფსონების ოპოზიციონერობის დროინდელი გამოსვლები და შევარდნაძის ხელისუფლების მწვავე კრიტიკა რომ მახსენდება, ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი ჩნდება. ერთ დროს მიშაც სწორედ ასეთივე შეხვედრებითა და მწვავე პიარკამპანიებით იყო დაკავებული, ცუდი ისაა, რომ ეს მწვავე პიარკამპანია ჩვენი ბინძური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, ამიტომ ურიგო არ იქნება, თუ დევნილებიც და არადევნილებიც რეალობას გაუსწორებენ თვალს, თუნდაც ხელისუფლების შეცვლის შემდეგ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, არც სუბელიანი და არც ამ ხელისუფების მიერ შეჭმული მილიონები არავის ემახსოვრება.

# იაპონიის ტრაგედიას გამოფენა მიეძღვნა

**ეკა ირემაშვილი**

11 მარტს იაპონიაში დატრიალებულმა ტრაგედიამ შეძრა მსოფლიო. საქართველო ამ უბედურ შემთხვევას სხვადასხვა საქველმოქმედო თუ მხარდამჭერი ღონისძიებით გამოეხმაურა.

შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა თავისუფალ უნივერსიტეტთან ერთად წარმოადგინა გამოფენა „შეიცანი იაპონია".

დამთვალიერებელს პირველად მიეცა საშუალება ენახა ეროვნულ მუზეუმში დაცული იაპონური ხელოვნების იშვიათი ნიმუშები. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო იაპონური ხელოვნების განვითარების გვიანდელი პერიოდის XVIII-XX საუკუნეების ამსახველი 150 ნივთი— ტიხრული მინანქარისა და ფაიფურის ჭურჭელი, სპილოს ძვლის ნაკეთობები, საბრძოლო აღჭურვილობა, სარიტუალო დანიშნულების რელიგიური ნივთები, ჩაის ცერემონიალისთვის განკუთვნილი ჭურჭელი, სათამაშოები, სამოსის დეტალები.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმის იაპონური კოლექციის დიდი ნაწილი კავკასიის მუზეუმის, საქართველოს ეროვნული გალერეის, მუზეუმ „მეტეხის", წერა-კითხვის გამავრცელებელი, საისტორიო საეთნიოგრაფიო საზოგადოების კოლექციათა ბაზაზეა შექმნილი, რასაც XX საუკუნის შუა წლებიდან კერძო კოლექციონერებისა და სახელმწიფო შესყიდვების გზით შემოსული ექსპონატებიც დაემატა.

გამოფენაზე წარმოდგენილი კოლექციის დარგობრივი და ჟანრული მრავალფეროვნება საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ იაპონური ხელოვნების განვითარების გრძელ გზას. დავინახოთ მისი მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალური ხასიათი და განსაკუთრებით შთამბეჭდავი მხატვრული ესთეტიკა.

თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტების მონაწილეობით გამოფენის პარალეურად ნაჩვენები იქნება იაპონურ ტრადიციული რიტუალი — შოდო — იაპონური კალიგრაფიის ხატვა. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კი სკოლის მოსწავლეებს ჩაუტარებენ პრეზენტაციებსა და გააცნობენ იაპონურ კულტურასა და ტრადიციებს.

იაპონიაში დატრიალებული ტრაგედიის მხარდასაჭერად გამოფენა გაიხსნა ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაში სახელწოდებით „იაპონია აღორძინდება", სადაც გამოიფინა ბოლო 30 წლის განმავლობაში იაპონელი ბავშვების მიერ შესრულებული ნახატები. ექსპოზიციის ნაწილი ქართველ ბავშვთა ნახატებს და თოჯინებს დაეთმო. იაპონელი ხალხის მხარდასაჭერად გამართულ ღონისძიებას საქართველოში იაპონიის ელჩის მრჩეველი და საქართველოს კულტურის მინისტრი ნიკა რურუაც დაესწრნენ.

2 აპრილს კი „როკ კლუბში" იაპონიაში დატრიალებულ ტრაგედიას საქველმოქმედო კონცერტი „მე გვერდში ვუდგევარ იაპონიას" გაიმართება.

## როგორ ვებრძოლოთ მოწყენილობას

ტესტი



1. წინასწარ შედგენილი გეგმით ცხოვრობთ?
2. გსურთ მეტი პასუხისმგებლობა?
3. თუ გშურთ იმ ადამიანებისა, ვინც საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობენ?
4. გინდათ მეტი მოულოდნელობები გქონდეთ?
5. შეგიძლიათ სრულად განჭვრიტოთ თქვენი პარტნიორის ყოფაქცევა?
6. თქვენი ინტერესების უმეტესობა ტელევიზორთანაა დაკავშირებული?
7. როგორც წესი, დილით იცით რასაც გააკეთებთ დღის განმავლობაში?
8. გაწუხებთ მოწყენილობა?
9. ხანდახან ყვირილი გინდათ.
10. გეჩვენებათ, რომ მოვლენების მიმდინარეობის მიღმა რჩებით.
11. მიგაჩნიათ, რომ სკოლის წლები ყველაზე ბედნიერი იყო თქვენს ცხოვრებაში?
12. თუ გიოცნებიათ საზღვარგარეთ წასვლასა და ყველაფრის თავიდან დაწყებაზე?
13. შვებულება წელიწადის საუკეთესო დროა.

**პასუხები** *დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით.*

10-13 ქულა: მიუხედავად იმისა, რომ მოწყენილობა დიდ უბედურებად არ ითვლება, იგი თქვენი პრობლემების მთავარ მიზეზს წარმოადგენს. შეეცადეთ გაიმრავალფეროვნოთ ცხოვრება, ჰობის ძიებით დაიწყეთ.

5-9 ქულა მოწყენილობა არ გაწუხებთ, თუმცა ხანდახან გეუფლებათ ხოლმე უგუნებობა, თავს დათრგუნვილად გრძნობთ ხოლმე, შეეცადეთ არ მიაქციოთ ამას ყურადღება, რადგან როგორც წესი, მოწყენილობის პერიოდს აქტიურობის პერიოდი ცვლის ხოლმე.

0-4 ქულა: მოწყენილობისათვის არ გცალიათ, რადგან მეტად საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობთ.

გ.თ.



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების მშობლიური სოფელი; 2. გამყიდველის მაგიდა ბაზარში; 3. საჭმლის მომნელებელი შინაგანი ორგანო; 5. მოყავისფრო წვრილი წინწკლები სახეზე, ხელებზე; 6. სათავადაზნაურო ტიტული ევროპაში; 7. სიახლის შემოტანა რაიმე საქმეში; 11. წითელყურძნოვანი ვაზის იტალიური ჯიში; 13. მძიმე გარდამავალი პერიოდი; 14. ჰუნების წინამძღოლი; 15. ეკლესია თბილისში; 16. ძვირფასი სარეწაო თევზი; 17. ფოტოაპარატების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 19. ჭრელი ძვირფასი ქვა, კვარცის ნაირსახეობა; 20. ხის ქოშები.

**თარაზულად:** 1. მაგიდის სათამაშო; 4. მწვადის შეწვისას წვეთ-წვეთად ჩამოჟონილი ცხიმი; 8. დაბლობ ადგილებში დამდგარი, დამყაყებული წყლიანი ტერიტორია; 9. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 10. ერთ-ერთი რელიგია; 12. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საფრანგეთში; 14. ქართული გაზეთი; 15. უეცრად ამოვარდნილი ძლიერი ქარი; 16. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 18. საწვავი სითხე; 21. სახელმწიფო ევროპაში; 22. ბანქოს სათამაშო სპეციალური მაგიდა; 23. ქალაქგარეთ ბუნებაში გასეირნება დროს გასატარებლად.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**სკანვორდის პასუხები:**

1. იამბიკო; 2. ბარტერი; 3. მა; 4. ომი; 5. ოსტი; 6. კი; 7. ვიკუნია; 8. დასტინ; 9. მადეირა; 10. ოკეი; 11. კოდალა; 12. ბეი; 13. მიკადო; 14. ნაფარეული; 15. არისა; 16. პოლიფონია; 17. რა; 18. გედი; 19. ლეონკავალო; 20. კატამარანი; 21. კალა; 22. არომატი; 23. არია; 24. ლენა; 25. ალკოვი; 26. სია; 27. ევრო; 28. ვალსი; 29. ჩაი; 30. კარელ; 31. სირ.

**სურათებზე:** პაოლა ოლივეირა; ფაბიო გროსო.

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. მამონტი; 6. პიონერი; 8. ტარო; 9. სინდი; 10. ივლისი; 11. სინი; 13. პირშუშხა; 14. ტიარა; 16. მერია; 18. ოდოში; 20. ტივტივა; 21. რეიტერი.

**შვეულად:** 1. სომალი; 2. ეტრატი; 3. ანალიზი; 4. თივთიკი; 5. მაგნიტი; 7. კარმენი; 11. სვავი; 12. ოაზისი; 13. პაროდია; 14. ტიფლიტი; 15. ფიაკრი; 17. ეფექტი; 19. კატა.

# ვის ეშინია ჩინეთის

მსოფლიოში იზრდება შეშფოთება, რომელსაც ჩინეთის მზარდი ეკონომიკური სიძლიერე იწვევს. ამას მოწმობს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, რომელიც ბიბისის უორლდ სერვისის შეკვეთით გაიმართა.

გამოკითხვა კომპანია „გლობალსქან ფიაიფიეიმ" ჩაატარა, რომელმაც მსოფლიოს 28 ქვეყანაში 20 ათასამდე ადამიანი გამოკითხა.

მიღებული შედეგები მოწმობს, რომ ჩინეთის სავაჭრო პარტნიორებს შორის, განსაკუთრებით მსოფლიოს წამყვან განვითარებულ სახელმწიფოებს შორის მნიშვნელოვნად გაიზარდა მათი რიცხვი, ვინც ჩინეთის მზარდი ეკონომიკური წარმატებებისადმი უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებს.



ბიბისის მიერ 2005 წელს გამართული ანალოგიური გამოკითხვის შედეგებთან შედარებით, ჩინეთის მზარდი ეკონომიკური წარმატებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება გაიზარდა აშშ-ში, კანადაში, საფრანგეთში, გერმანიაშ და იტალიაში.

რესპონდენტების უმეტესობამ ჩინეთის ეკონომიკური წარმატებების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება გამოამჟღავნა.

ჩინეთისადმი უარყოფითი დამოკიდებულების ზრდა აღინიშნა აგრეთვე დიდ ბრიტანეთსა და მექსიკაში.

თუმცა, ბიბისის გამოკითხვა ასევე მოწმობს, რომ მთლიანობაში მსოფლიოში ჩინეთისადმი დადებითი დამოკიდებულება ჭარბობს.

გამოკითხული რესპონდენტების ნახევარი ჩინეთის ეკონომიკის ზრდისადმი დადებითად არის განწყობილი, უარყოფითად — მხოლოდ 33%.

ჩინეთის ეკონომიკური წარმატებებისადმი ყველაზე პოზიტიური დამოკიდებულება დაფიქსირდა ნიგერიაში (82%) და კენიაში (77%). გამოკითხვის მონაწილე ხუთი აფრიკული ქვეყანა ჩინეთისადმი დადებითად არის განწყობილი.

ამ შედეგების ინტერპრეტაციის მიზნით მიმომხილველები 2005 წლის გამოკითხვის შედეგებს იშველიებენ და აღნიშნავენ, რომ წინა გამოკითხვის შემდეგ განვლილი პერიოდის განმავლობაში მსოფლიომ ეკონომიკური კრიზისი და მისი მომდევნო რეცესია გამოიარა.

ყველაზე მძიმე ზეგავლენა კრიზისმა განვითარებულ ქვეყნებზე იქონია, მაშინ როდესაც გლობალური ეკონომიკის აღდგენაში წამყვან როლს განვითარებადი ქვეყნები, უპირველეს ყოვლისა ჩინეთი თამაშობდა.

ამის გამო, დამკვირვებლები აღნიშნაენ, რომ დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების პარალიზების ფონზე ჩინეთის განვითარება ბევრს აღიზიანებს.

გარდა ამისა, მრავალ განვითარებად ქვეყანაში დარწმუნებული არიან, რომ ჩინეთი პატიოსანი ვაჭრობის წესებს არღვევს. ამ შეხედულებას ზურგს უმაგრებს აგრეთვე მრავალრიცხოვანი რეპორტაჟები ჩინეთის მიერ იუანის კურსის ხელოვნურად დაგდების შესახებ.

# ლიბიის ოპოზიცია დასავლეთისაკენ მიიწევს

მეამბოხეებმა, რომლებიც კადაფის რეჟიმის წინააღმდეგ იბრძვიან, განაცხადეს, რომ მათ კონტროლს სანაპიროზე მდებარე ორი მნიშვნელოვანი ქალაქი, ბრეგა და რას-ლანუფი დაექვემდებარა.

ამ ქალაქებში ნავთობის ტერმინალები მდებარეობს.

ოპოზიციის ძალები უბრძოლველად შევიდნენ ბრეგაში, რაც უცხოელმა, კერძოდ, ბიბისის ჟურნალისტებმაც დაადასტურეს.

მეამბოხეების წარმომადგენლების თქმით, მეამბოხეები რას-ლანუფის ქუჩებს აკონტროლებენ და ქალაქის კადაფის შეიარაღებული მომხრეებისაგან გაწმენდას ცდილობენ.

მიმომხილველების თქმით, კადაფის ერთგული ჯარები ძალიან სწრაფად იხევენ დასავლეთის მიმართულებით.

იმავდროულად, კადაფის რეჟიმის წარმომადგენლები მომხდარით მაინცდამაინც შეშფოთებული არ არიან, რადგან ტრიპოლიმდე მისაღწევად მეამბოხეებმა კარგად გამაგრებული სანაპირო ქალაქი სირტი უნდა აიღონ. ამ ქალაქში კადაფი დაიბადა.

თავის მხრივ, საფრანგეთის შეიარაღებულმა ძალებმა გაანადგურეს ლიბიის ხუთი სამხედრო თვითმფრინავი და ორი ვერტმფრენი, რომლებიც კადაფის ლოიალური ძალების შემადგენლობაში მოქმედებდნენ.

საფრანგეთის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლების თქმით, ისინი მისრატში, ლიბიის სამხედრო საჰაერო ბაზაზე, გაფრენისათვის მზადების დროს გაანადგურეს.



გაეროს მიერ მიღებული, ლიბიის საჰაერო სივრცეში ფრენის ამკრძალავი რეზოლუციის განხორციელებაზე ზრუნვა დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და აშშ-ის საჰაერო ძალებმა დაიწყეს.

კადაფის რეჟიმის წინააღმდეგ ამბოხება თებერვლის შუა რიცხვებში დაიწყო, მაგრამ ლიბიის ლიდერის ერთგულმა ჯარებმა მეამბოხეებს ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში, სანაპიროზე მდებარე ქალაქების უმეტესობა წაართვეს.

ვითარება მკვეთრად მას შემდეგ შეიცვალა, რაც საქმეში დასავლეთის ქვეყნები ჩაერივნენ და კადაფის არმიის წინააღმდეგ მიმართული სამხედრო ოპერაცია დაიწყეს.

ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ლიბიაში სხვადასხვა სამიზნის მიმართულებით კოალიციის ძალებმა ასობით თვითმფრინავი გაუშვეს. გამანადგურებლებმა, გარდა ამისა, მეამბოხეების წინააღმდეგ მოქმედი მძიმე ტექნიკაც გაანადგურეს.

შაბათს ლიბიის ოპოზიციამ განაცხადა, რომ დაძაბული ბრძოლების შემდეგ მათ კონტროლს დაუბრუნდა ქვეყნის აღმოსავლეთით მდებარე ქალაქი აჯდაბია.

ლიბიის დასავლეთით მეამბოხეთა ხელში მყოფი ერთადერთი მნიშვნელოვანი ქალაქია მისრატი. მრავალი დღის განმავლობაში მას როგორც ჰაერიდან, ასევე ხმელეთიდან ცეცხლს უშენდნენ.

სროლა მას შემდეგ მინელდა, რაც ქალაქის თავზე კოალიციის ავიაცია გამოჩნდა.

ლიბიის ხელისუფლების განცხადებით, კოალიციის თავდასხმების შედეგად დაიღუპა ასამდე მშვიდობიანი მცხოვრები.

იმავდროულად, აშშ-ის თავდაცვის მინისტრი რობერტ გეითსი ამტკიცებს, რომ კადაფის მომხრეებს საკუთარი თავდასხმების შედეგად დახოცილთა გვამები კოალიციის რაკეტების აფეთქებების ადგილზე გადააქვთ.

მიუხედავად ამისა, ლიბიაზე თავდასხმები გრძელდება.

ლიბიის ტელევიზიის ინფორმაციით, ერთი ღამის განმავლობაში იბომბებოდა ქვეყნის ცენტრში მდებარე ქალაქი სებჰა. გარდა ამისა, ვრცელდება ინფორმაცია სირტუზე თავდასხმების შესახებ.

# ნატომ ავღანეთში თალიბების ნაცვლად მშვიდობიანი მოქალაქეები დაბომბა



ავღანეთში, გილმენდის პროვინციაში, კოალიციის ჯარებმა შეცდომით თალიბების ნაცვლად მშვიდობიანი მოსახლეობა დაბომბეს. თავდასხმის შედეგად რამდენიმე ადამიანი დაიღუპა.

ნატოს წყაროების თანახმად, საჰაერო თავდასხმა ჯერ კიდევ პარასკევს იყო დაგეგმილი, რადგან კოალიციური მთავრობისათვის ცნობილი გახდა, რომ თალიბების მაღალი რანგის ერთ-ერთი ლიდერი შაბათს გარკვეული მარშრუტით გადაადგილებას აპირებდა.

მოგვიანებით თავდასხმის ადგილას ნატოს სამხედროებმა დაღუპული და დაჭრილი მშვიდობიანი მოქალაქეები ნახეს. მსხვერპლის რიცხვი არ დაუზუსტებიათ, თუმცა ნატო აღიარებს, რომ ტრაგედია შეცდომამ გამოიწვია.

მიმდინარე წლის მარტის დასაწყისში ავღანეთის აღმოსავლეთით მდებარე კუნარის პროვინციაში ასევე ნატოს საჰაერო თავდასხმის შედეგად ცხრა სამოქალაქო პირი დაიღუპა. ავღანეთის ხელისუფლების განცხადებით, კუნარში თავდასხმის შედეგად ფიჩხის შესაგროვებლად გასული ბავშვები დაიღუპნენ.

ნატოს ჯარების სარდალმა ავღანეთში, გენერალმა დევიდ პეტრეუსმა, თავისი ხელქვეითების ამ ტრაგიკული შეცდომის გამო საჯაროდ ბოდიში მოიხადა.

გილმენდის პროვინცია თალიბების მთავარ დასაყრდენად ითვლება. ავღანეთში კოალიციის ჯარების შეჭრის შემდეგ თალიბებმა აქ თითქმის მაშინვე აქტიური საომარი მოქმედება დაიწყეს.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# იური რეხვიაშვილი



გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ქართველი სამთოელი, ცნობილი მეცნიერი საბადოთა მიწისქვეშა დამუშავების დარგში, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი იური რეხვიაშვილი.

იგი დაიბადა 1933 წლის 15 აგვისტოს ონის რაიონის სოფელ ჭიორაში. 1935 წელს მისი მშობლები საცხოვრებლად გადავიდნენ ქ. ორჯონიკიძეში, სადაც 1951 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა. იმავე წელს სწავლა განაგრძო ჩრდილოკავკასიის სამთო-მეტალურგიულ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1956 წელს, სამთო ინჟინრის სპეციალობით.

1970 წელს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 1976 წელს მიენიჭა უფროსი მეცნიერი თანამშრომლის სამეცნიერო წოდება.

1956-60 წლებში მუშაობდა ამიერკავკასიის და სხვა რეგიონების სამთო საწარმოებში სხვადასხვა თანამდებობებზე.

1961 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტში სხვადასხვა თანამდებობებზე, მათ შორის ინსტიტუტის სწავლულ მდივნად, განყოფილების უფროსად, ლაბორატორიის გამგედ. ბოლო წლებში ეკავა მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და საბადოთა მიწისქვეშა დამუშავების განყოფილებაში უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობა.

ყველა თანამდებობაზე მუშაობისას იგი გამოირჩეოდა საქმისადმი თავისი პროფესიული მიდგომით, ენერგიით, განსწავლულობით და ერთგულებით, რითაც ღრმა პატივისცემა დაიმსახურა კოლეგებს შორის.

ბატონი იური იმ სამთოელთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომელთაც ფასდაუდებელი ამაგი დასდეს საქართველოში ნახშირის საბადოების რაციონალურად ათვისებას და ამ პრობლემასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხების მეცნიერულად შესწავლას. განსაკუთრებით დიდია მისი დამსახურება ტყიბული-შაორის ქვანახშირის საბადოს დამუშავებასთან დაკავშირებული სამეცნიერო პრობლემების გადაწყვეტის საქმეში, რასაც მან თავისი მრავალწლიანი სამეცნიერო-საინჟინრო მოღვაწობის უდიდესი ნაწილი დაუთმო. ამ მიმართულებით აქტიურ საქმიანობას ეწეოდა სიცოცხლის ბოლო წუთებამდე. მას ღრმად ჰქონდა შეგნებული, რომ აღნიშნული საბადოს ქვანახშირს უდიდესი როლის შესრულება შეეძლო ჩვენი ქვეყნის მრავალ დარგში, განსაკუთრებით თბოენერგეტიკაში, რადგან ძალზე მწირია სხვა ენერგომატარებლების არსებობა საქართველოში.

სწორედ ამ საკითხების შესწავლას ეძღვნება ბატონი იურის სამეცნიერო ნაშრომები და გამოგონებები, რომელთა დიდი რაოდენობა გამოქვეყნებულია არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

იგი იყო მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესის, კონფერენციის და სიმპოზიუმის წევრი, რამაც მას საყოველთაო აღიარება მოუტანა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში.

მისი გარდაცვალება უდიდესი დანაკლისია ქართული ტქნიკური ინტელიგენციის, განსაკუთრებით ქართველი სამთოელებისათვის.

გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ბატონი იური რეხვიაშვილის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს. ამასთან იმედს გამოთქვამენ, რომ მისი სახელი და ღვაწლი არ იქნება დავიწყებული.

# სამგლოვიარო განცხადებები



## ტკივილი
## გურამ ბურჭულაძის ხსოვნას

სიცოცხლე სასწაულია და საიდუმლო, უფრო დიდი სასწაულია გარდაცვალება, როცა ისეთ ახლობელს კარგავ, რომელიც არამარტო ლამაზი ოჯახის, გვარისა და სამეგობროს ბურჯი იყო, ბურჯი, რომელზეც მხოლოდ ჯიშიანი ნაყოფი იზრდება.

შენ, ყველას იმედმა, პატრონმა, დამცველმა, გულკეთილმა, გულმოწყალემ, სხვისი დარდის გამზიარებელმა და ლხინის უბადლო თამადამ, ენამჭევრმა, გურული სიმღერების საუცხოოდ შემსრულებელმა, კეთილმა დატოვე ეს არეული ქვეყანა და იმ საუფლოს მიაშურე, სადაც შენნაირი ადამიანებისთვის კარი ღიაა.

ახლა ერთი აზრი გვანუგეშებს მხოლოდ — ბოლოს ყველანი ერთად ვიქნებით.

*სიცოცხლეს ქვეყნად სანთლად ანთებდი,*
*შენი სიცოცხლე სიმღერას ჰგავდა,*
*სიკვდილს ყველაფერს ვაპატიებდი*
*ყველაფერს შენი წაყვანის გარდა.*

**ანდრია ეების ოჯახი**



ს/ს „საქტელეფონმშენის" კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკი

**არჩილ ჩიხლაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი: 29, 30 მარტს, 17 საათზე.

დაკრძალვა: 31 მარტს, 14 საათზე.

მისამართი: ერწოს ქ. №6, III სართული, ბინა 32.

დურმიშხან და გიზო ცინცაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**არჩილ გიორგის ძე ცინცაძე**

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**სამშაბათი 29 მარტი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** თოქ-შოუ "არენა" **14.00** ჩვენი ეზო **15.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "ეგვიპტე" **19.40** პეპეს ზღაპრები **20.00** **ფეხბურთი.** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. ისრაელი-საქართველო. **22.00, 01.35** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** მხ. ფილმი **"ბობი ჯონსი გოლფის გენიოსი"** **01.15** მოამბე **02.35** აუდიტორია **03.35** მხ. ფ. **"ქერა გოგონები"**

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტი **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" **20.00** მხ. ფილმი **"მხსნელი"** **01.00** მხ. ფილმი **"სიკვდილის ზღვარზე"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** ვანოს შოუ (გან.) **15.30** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **16.00** სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** **16.50** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვის უნდა 20 ათასი **00.00** მხ. ფილმი **"ყავა და სიგარეტი"** (18) (რ. ბენინი) **02.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ბეტმენი" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** იმედის ფსონი (პირდ.) **15.30** სერ. **"ორნახევარი კაცი"** **16.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **17.00** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **12.25** ტვ-მარკეტი **11.30** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.25** ტვ-მარკეტი **12.35** სერ. **"ლოზას საიდუმლო"** **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"მონტეს ოჯახი"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.45** სერ. **"ლოზას საიდუმლო"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** ნანუკას შოუ **23.30** "ფეის კონტროლი" **00.30** მხ. ფ. **"ტერმინატორი 3"** (ა. შვარცენეგერი) (სუბტ.) **02.40** მხ. ფილმი **"რეალური სიყვარული"** (15) (ჰ. გრანტი) (სუბტ.) **04.30** მხ. ფილმი **"პრინცესა მუხუდოს მარცვალზე"** **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"ადვოკატი"** **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.50** სერ. **"მონადირე"** **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"მხოლოდ შენ"** **19.30** სერ. **"ხსოვნა და მიტევება"** **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.35** პირველშეწირულის ლიტურგიის განმარტება **10.50** ერთსულოვანი ოჯახი **11.15** მოკლ. ფილმი **"წითელი ბუშტი"** **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"ლუარსაბ თათქარიძე"** **13.30** კონცერტი – გ. დოლიძე **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფილმი **"პალიასტომის ტბა"** **17.00** დოკ.ფ."ველური ბუნება" **17.30** დოკ. ფ. "წმინდა აღმსარებელი ამბროსი ხელაია" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"არ დაიჯერო, რომ აღარა ვარ"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** საღვთისმეტყველო საუბრები **22.20** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დროის ჩანაწერები **00.25** წარმატების ფორმულა **00.40** შარავანდედი **01.05** აღსაყდრების დღისადმი მიძღვნილი კონცერტი

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**29 მარტი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,704

ევრო — 2,4135

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7714

რუსული რუბლი — 0,06

## ამინდის პროგნოზი 29 მარტისთვის




**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 16-18, ღამით — 6-8

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 1§-24, ღამით — 19-13

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — §-16, ღამით — -3-§




ქართული ფლორის საოცრება

## „სალხინო"

უებარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58, 95-90-60.


# ისრაელში გოგუას გარეშე

**საქართველოს ეროვნული ნაკრები ისრაელთან 29 მარტს დაგეგმილი ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩისთვის თელ ავივში გუშინ ჩავიდა და ქალაქის ცენტრში მდებარე სასტუმრო „სითი ცენტრ ქროუნ პლაზაში" დაბინავდა. თემურ ქეცბაიას გუნდმა მატჩისწინა ვარჯიში სტადიონ „ბლუმფილდზე" გუშინ გამართა.**



როგორც ცნობილია, ეროვნულ გუნდს ისრაელში არ გაჰყოლია ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას" ნახევარმცველი გოგიტა გოგუა, რამაც ქართველ გულშემატკივრებში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. გავრცელდა ხმები, რომ ფეხბურთელსა და მთავარ მწვრთნელს შორის შელაპარაკება მოხდა.

— ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, თემურ ქეცბაიამ არ ჩათვალა საჭიროდ, რომ გოგიტა გოგუა ისრაელში ნაკრებთან ერთად წამოსულიყო. ასეთი გადაწყვეტილება მწვრთნელმა გუნდის მიერ ისრაელში გამომგზავრების წინ, თბილისში გამართული ბოლო ვარჯიშის შემდეგ მიიღო, — განაცხადა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ლაშა დვალიშვილმა.

საქართველოს ნაკრები ისრაელში ასეთი შემადგენლობით იმყოფება:

მეკარეები: გიორგი ლორია, ნუკრი რევიშვილი, როინ კვასხვაძე;

მცველები: კახა კალაძე, ლაშა სალუქვაძე, ალექსანდრე ამისულაშვილი, აკაკი ხუბუტია, ზურაბ ხიზანიშვილი, გურამ კაშია, დავით კვირკველია;

ნახევარმცველები: ლევან კობიაშვილი, ალექსანდრე იაშვილი, ჯაბა კანკავა, მურთაზ დაუშვილი, კახა ალადაშვილი, ალექსანდრე კოშკაძე;

თავდამსხმელები: ვლადიმერ დვალიშვილი, დავით სირაძე, ოთარ მარცვალაძე, ირაკლი მოდებაძე, ნიკოლოზ გელაშვილი.

ისრაელისა და საქართველოს ნაკრებთა შეხვედრა დღეს, სტადიონ „ბლუმფილდზე", თბილისის დროით 20:00 საათზე დაიწყება.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## ასტროპროგნოზი 29 მარტისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ! შემოქმედებითი დღეა.

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, დღეს ნუ გადაიღლებით. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, საქმეს ისედაც მოასწრებთ. **კირჩხიბი** — წარმატებული დღეა, სამსახურს იცვლით. **ლომი** — სახლში სიახლეა, მოსალოდნელია მნიშვნელოვანი შენაძენი. **ქალწული** — მთელ ფულს დღეს ნუ დახარჯავთ, ცოტა ხვალისთვის შემოინახეთ. **სასწორი** — ფორმაში ხართ, ასე განაგრძეთ. **ღრიანკალი** — თავს მიხედეთ, არ გადაიღალოთ. **მშვილდოსანი** — შემოქმედებითი დღეა, ბოლომდე დაიხარჯეთ. **თხის რქა** — არ აყვეთ ჭორებს, მშვიდად იმოქმედეთ. **მერწყული** — დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, ბედი გწყალობთ. **თევზები** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!


# 21 მარტიდან

## იყიდება

100 წიგნი

„ახალი თაობის" და „საოჯახო ბიბლიოთეკის"

# სუპერპროექტის

## ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო




**ტომი 1**

# განდი

**გაზეთი და წიგნი ერთად — 8 ლარი**


## იუმორი



* * *

— ფრაზა „შენ უკეთ იცი" თავისუფლად შეიძლება შევცვალოთ ფრაზით „მკიდია"...

* * *

— ნურას უკაცრავად, კვებითი ჯაჭვის მწვერვალზე იმიტომ არ ავსულვარ, რომ მარტო მწვანე სალათი ვჭამო...

* * *

— არსებობენ სამი სახის წიგნის მოყვარულები: ერთნი წიგნს წონის მიხედვით ყიდულობენ, მეორენი — ფერის მიხედვით. არსებობენ კიდევ გაუნათლებელი წიგნის მოყვარულები, რომლებმაც არ იციან, რა არის დიზაინის ინტერიერი და პრეზენტაბელურობა და წიგნებს წასაკითხად ყიდულობენ...

* * *

— მთავრობა, რომელიც ღარიბების კეთილდღეობაზე ზრუნავს, შესაცვლელია, რადგან კარგი მთავრობის ხელში ღარიბები არ უნდა არსებობდნენ...

**გ. თ.**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ღვინის მწარმოებელი ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა აშშ-ში; 2. პოლიციელის ჩინი საფრანგეთში; 3. გერმანელი მრეწველი, ოპტიკური მინების წარმოების ფუძემდებელი; 5. ბელგიური ავიაკომპანია; 6. იარაღის საწყობის, არსენალის ძველებური სახელწოდება; 9. პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ჭიდაობაში; 10. აეროპორტი რომში; 11. შვეიცარული ფარმაცევტული ფირმა; 14. ჯარის ძველებური სახელწოდება საქართველოში; 16. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული ირანში; 18. კანადელ ესკიმოსთა ყინულის ქოხი.

**თარაზულად:** 1. ნიადაგის დასამუშავებელი აგრეგატი; 4. ამერიკელ კომპოზიტორ იგორ სტრავინსკის ბალეტი; 7. ინდოელი მწერალი ნობელის პრემიის ლაურეატი; 8. ქიმიური ნივთიერების მიღება მარტივ ელემენტთა შეერთების შედეგად; 12. ზღვის დიდი კიბორჩხალა; 13. ყაზახეთის დედაქალაქი; 15. ფულის გამოშვება; 17. კედელზე საკიდი ელექტრონათურა; 19. პირობითი, საიდუმლო ნიშნებით შედგენილი ჩანაწერი; 20. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 21. ძმარში ჩადებული მოხარშული ღორის ფეხები.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

